754/2 № 14823

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს. №7 (1779) 3 ივლისი, 2002 • ფასი 50 თეთრი

თავმოყვარე კაცი ხელმეორედ უჩივლებდა ბერძენიშვილს

მე-2 გვ.

ადამიანებით საკრებულოებშიც ვაჭრობენ?

მე-2 გვ.

რეპორტაჟი გალიდან

რას ფიქრობენ რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე აფხაზეთში მცხოვრები ქართველები

მე-3 გვ.



იომებენ თუ არა

მე-8 გვ.

ქურდობა ოპერაში

ვილაცამ სანფრანცისკოელ ბალერინას 5000 დოლარიანი ფოტოაპარატი მოჰპარა მე-9 გვ.

ინდოეთი და პაკისტანი?

ვის სწირავენ მსხვერპლს თავისუფალი თოკრის მე-10 გვ. მსახიობები

წელს დვთამეჯიში ცვლილი დეჯთმა ქაჯთველი კაცის ხელით ბაღაბაჯჩინა მე-11 გვ.

ოთარ ჩამიშვილმა არჩევნებშიც გოცარას მისცა ხმა მე-10 გვ.



მეცნიერება მორალურ პრობლემებს არჩენს... საით წავა ტვინის კონტროლი?

მე-6 გვ.

ევროპას კონდახიანი მშვილდების შექმნაში 14 საუკუნით გავუსწარით მე-4 გვ.

ამბავნარი

წკიპურტები

თავმოყვარე კაცი ხელმეორედ უჩივლებდა ბერძენიშვილს

შელახული პატივ-ღირსების აღდგენა საქართველოში, როგორც წესი, ცემა-ტყეპით ხდება ხოლმე. ამის კლასიკურ მაგალითს ძალოვანი ჩინოვნიკები იძლევიან. ექსმინისტრი ვანო ჩხარტიშვილი, მოგეხსენებათ, ძალოვანი არ გახლავთ და შესაბამისად, ძალის გამოყენებას არჩია, შელახული პატივი ცივილიზებული ანუ სასამართლო წესით აღედგინა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთი წლის წინ ჟურნალ „ახალი დვრიტას" ფურცლებზე ლევან ბერძენიშვილმა ეკონომიკის ექსმინისტრს ყველაზე კორუმპირებული მაღალჩინოსანი უწოდა. აღშფოთებულმა ამ მძიმე ბრალდების ადრესატმა სასამართლოს მიმართა. ერთწლიანი „ჭიდაობის" შემდეგ დაზარალებულმა ჩხარტიშვილმა ბერძენიშვილს სასამართლო პროცესი მოუგო, თუმცა საკომპენსაციო თანხა, რომელსაც ითხოვდა, არ აუღია, ალბათ, ბერძენიშვილის ბიჯეტის გათვალისწინებით. სასამართლო კოლეგიამ ცილისმწამებელს განაჩენი გამოუტანა და სჯაროდ ბოდიშის მოხდა დააკისრა იმავე საინფორმაციო საშვალებით, რომლის ფურცლებზეც შეურაცხყოფის მიყენება მოხდა. ცხადია, ლევან ბერძენიშვილს არაფრად ეჭაშნიკა არც დამარცხება და არც ამგვარი „სამარცხვინო სასჯელი". ბოდიშის მოხდა არ ისურვა და თავისი ადვოკატის პირით ჟურნალი დახურულად გამოაცხადა, მერე კი სასამართლო პროცესში გამარჯვებულს იქვე, სასამართლოს დარბაზში მიცემულ ინტერვიუში მორიგი შეურაცხყოფა მიაყენა: „კი, ბატონო, ვანო ჩხარტიშვილმა ყველაზე მეტი არ მოიპარაო".

რატომლაც ეს სიტყვები ბატონ ვანოს აღარ სწყენია. მისთვის მთავარი ისა ყოფილა, ყველაზე მეტი არ ჰქონოდა მოპარული და სხვებზე ცოტა თუ მოიპარა, ამას არაუშავს, სამარცხვინო და პატივ-ღირსების შემლახავად არ ეჩვენება.

არა და, თავმოყვარე კაცი იქვე ხელმეორედ უჩივლებდა ამ სიტყვებისთვის ბერძენიშვილს.

ადამიანებით საკრებულოებშიც ვაჭრობენ?

„ლეიბორისტებს აქვთ ის ავტორიტეტი, რომ ისინი იყიდებიან. საერთოდ, მათთვის ერთგვარი ბიზნესია, შეიყვანონ საკრებულოში წევრები და შემდეგ გაყიდონ. გულახდილად გეტყვით, ჩვენი მხრიდან მათი ყიდვა არ მომხდარა და არც სხვა სახის ვაჭრობა" — ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის პეტრე ცისკარიშვილის ამ სიტყვებმა ადამიანი შეიძლება გააოგნოს. სკანდალი პანიკისში ადამიანებით ვაჭრობის შესახებ არც ისე დიდი ხნის ჩამცხრალია, პარლამენტში რომ ხმების ყიდვა-გაყიდვა მიდის და საერთოდაც მთელი საქართველო რომ იყიდება, ყველა ხედავს, მაგრამ საკრებულოში წევრების გაყიდვა მაინც უცხოდ ხვდება ყურს.

სხვათა შორის, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა გულგრილად მიიღო პრესაში გამოქვეყნებული ეს განცხადება. უფრო მეტიც, ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას ისევ აქტიურად გეგმავს, უფრო სწორად კი, მისი ლიდერისათვის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტის დათმობას, თუ რა თქმა უნდა, არჩევნების შედეგები გადასინჯვის შემდეგ სულ არ გაუქმდება.

რატომლაც ლეიბორისტების თავკაცი შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს ყველა „ცულლუტობას" ადვილად პატიობს. რა უდევს გულში, კაცმა არ იცის. ეტყობა, მოთმინებით ელოდება თავის დროს.საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი სააკაშვილისათვის სათაგურია თუ სპილოს ხაფანგი, კიდევ გასარკვევია. ბატონი მიხეილი რომ მისგან გაქცევას ცდილობს, ეს უკვე რაღაცაზე მიუთითებს... არჩევნების შედეგების გაუქმებით იხეირებს კი? ახალ არჩევნებში გამარჯვება ხონჩით აღარ მოვა. უთვალავი პარტიისაგან შეკოწიწებულ ძალას თანდათან ბზარები უჩნდება, რაც წარმატების გარანტია ნამდვილად არ გახლავთ. მერე გვიან იქნება თითზე კბენანი დ ძველი ქართული ანდაზის „რაც მოგივა დავითთაო, ყველა შენი თავითთაოს" ხშირ-ხშირი გამეორება საქმეს ვერ უშველის.

გვერდი მოამზადა მაია საფარიშვილმა

«ტყის ძმების» მეთაური იხვეწება – დამკითხეთო!

შენგელიას „ცოტნე დადიანობას" გმირობად არ უთვლიან



„ტყის ძმების" მეთაური დათო შენგელია დღემდე ამაოდ ეხვეწება სამართალდამცავებს — დამკითხეთო. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, იგი იმ სკანდალური საქმის საკუთარ თავზე აღებას ცდილობს, მცირე ხნის წინ ნატახტართან იარაღით დატვირთული მანქანის დაკავებას რომ უკავშირდება. შენგელიას აჯას სამართალდამცავები არ ითვალისწინებენ. არც დაკითხვას ჩქარობენ.

ტყის ძმების მეთაური გულმოდგინედ ამტკიცებს, იარაღი პარტიზანებისთვის იყო განკუთვნილია, ამ აღიარებით საქმის გამო დაკავებული უშიშროების თანამშრომლის გადარჩენას ცდილობს. როგორც ჩანს, მთავრობაში „ტყის ძმების" მეთაურის არავის სჯერა. შენგელიას ცოტნე დადიანობას გმირობად არ უთვლიან.

მუდარით დაღლილმა დათო შენგელიამ რკინის ქალამნების ჩაცმა გადაწყვიტა და ჭეშმარიტების დასადგენად ბრძოლაში დახმარება ჟურნალისტებს სთხოვა.მიმართვის ტექსტი, რომლის ადრესატები საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავჯდომარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე და გენერალური პროკურორი გახლდნენ, პრესის თანამშრომლებს გააცნო.

— ჩემი მიმართვა არ ისახავს მიზნად, რომ პარტიზანული მოძრაობა წარმოადგინოს, როგორც აფხაზეთში შექმნილი პრობლემების ნეიტრალიზაციის ფაქტორი. იგი დღეს გახლავთ ჩრდილოეთიდან მომართულ ეკონომიკურ ექსპანსიასთან შეტაკების ერთადერთი ქმედითი ფორმა. ჩვენ გამოვაცხადეთ მორატორიუმი მშვიდობიანი გზით მოლაპარაკების შესახებ. შევაჩერეთ ყოველგვარი პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ პერიოდში ძირითადად იარაღის, ტყვია-წამლის შეძენით ვიყავით დაკავებული. თვენახევრის წინ გამოგვიჩნდა გარკვეული თანხა და შევიძინეთ სხვადასხვა სახის იარაღი. საქმის კურსში ჩავაყენეთ აფხაზეთის მთავრობა. ჩავედი ზუგდიდში და სოსო მჭედლიძეს ვთხოვე, წასულიყო ცხინვალში, სადაც მანქანას იარაღით დაუტვირთავდნენ. რაც შემდგომ მოხდა, ყველასათვის ნათელია. მჭედლიძე გზაშივე აიყვანეს. მაშინვე დავუკავშირდი სამხედრო პროკურორს, რომელმაც მეორე დღისთვის გადადო ჩემთან შეხვედრა და საუბარი, შემდეგ კი საქმე ჩამოართვეს. დავუკავშირდი გამომძიებელს, ვინც ამჟამად იძიებს საქმეს. დანაშაული ჩემს თავზე ავიღე და ვთხოვე, დავეკითხე. საშველი არ დაადგა ჩემს დაკითხვას. კაცი, რომელიც გვეხმარებოდა, ციხეში ზის და ფიზიკურ ზეწოლას განიცდის. გამოძიება კი არ ხდება. ეტყობა, ჭეშმარიტება არ აინტერესებთ-აცხადებს იგი.

დანაშაული, რომელსაც ასე ხმამაღლა იბრალებს დათო შენგელია, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საკმაოდ მძიმეა და სასჯელიც შესაბამისად არც თუ მცირე. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ყველაფერი დაუმტკიცდება, მოეთხოვება თუ არა პასუხი ამ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის? „ტყის ძმების" მეთაური ყველაფრისთვის მზადყოფნას აცხადებს, თუმცა გულის სიღრმეში მაინც არ სჯერა, რომ საქმე აქამდე მივა და გასწირავენ. ალბათ, სწორედ ამიტომ უსვამს ხშირ-ხშირად ხაზს ხელისუფლებისადმი კეთილადა ვარ განწყობილიო.

— იარაღი პარტიზანებისთვის იყო განკუთვნილიო, კიდეც რომ დამტკიცდეს, კანონს თვალსაზრისით ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყველა შემთხვევაში ეს იარაღის უკანონო შემოტანაა — აცხადებს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი. შენგელია კი ისევ არ ჩუმდება: რაც შეეხება კანონიერებას, რაც ჩვენ იარაღი გაგვაჩნია, ყველა უკანონოა, ეს ყველამ კარგად იცის და პირველ რიგში ხელისუფლებამ, თუ გაგვიმეტებენ, ეს უკვე მათ ნამუსზე იყოსო.

— კანონით, დანაშაული იარაღის უკანონოდ შეძენისა და რეალიზაციისათვის 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქართველოს კონსტიტუციაში ისეთი მუხლიც გვაქვს „აუცილებელი მოგერიების" შესახებ, რომლის მიხედვითაც ადამიანი არ ისჯება. იარაღი, რომელიც დააკავეს, განკუთვნილი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, განსაზღვრული იყო, ქვეყნის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ, ამიტომ არავის არა აქვს უფლება, ამ საქმისათვის მებრძოლი ადამიანი დააპატიმროს, — შენგელიას ინტერესებს ასე იცავს ადვოკატი ზურაბ ნოსტაშვილი.

მოეძალებათ თუ არა პატრიოტული სულისკვეთება ჩვენს სამართალდამცავებს, ძნელი სათქმელია. ერთი ცხადია, პანიკა, რომელიც თავად შექმნეს უკანონო იარაღის დაკავების ირგვლივ და იარაღის ბიზნესად მიიჩნიეს, ასე ადვილად არ ჩაივლის, თუნდაც იმიტომ, რომ [illegible] თავმოჭრილი ჩვენი ძალოვნები ამდენი აფეთქებების, გატაცებების შემდეგ ისედაც გატეხილი სახელის კიდევ უფრო გატეხას მოერიდებიან. ისე კი, კაცმა რომ თქვას, იმასაც გააჩნია, საიდან უბერავს სიო, ვინ ვის შეკვეთას ასრულებს და ვის უკან ვინა დგას?!

ნანა გელოვანი

მარადმწვანე კარტოზიას ყვითელი ფერი შემოდგომამდე შეეპარა



სკანდალები განათლების მინისტრის შესახებ წლების მანძილზე არ წყდებოდა. ერთს მეორე მოსდევდა, მეორეს-მესამე. დაუთვლიდნენ „ცოდვებს", შეუზანზარებდნენ სავარძელს და — ბოლოს, როგორღაც ყველაფერი კალაპოტში დგებოდა. გამწარებული ალეკო კარტოზიას ყვირილი, — 60 მილიონიანი კრედიტის შეჭმა უნდათო, ხანაც — ჩემს სავარძელს იზომებენო, ბევრს არავის სჯეროდა, მაგრამ... უფრთო ანგელოზის სტატუსს მაინც ადვილად ინარჩუნებდა.

კრიშა და ლობი ვის არა ჰყავს საქართველოში, მაგრამ კარტოზიას მსგავსი? ძალზე ცოტას! განათლების მინისტრი პირველი ლედის ღონიერ კალთას აფარებს თავსო, ბევრმა იცოდა. პრეზიდენტის მეუღლეზე საუბარი ტაბუდადებული თემა გახლდათ და ამიტომ ამის გახმოვანებას დიდხანს ვერ ბედავდნენ.

...ბოლოს, როგორღაც 60 მილიონიანი კრედიტის ერთი ნაწილის გამოქვეყნება აიძულეს განათლების მინისტრს. მორიგი სკანდალიც ზვავივით აგორდა. ეროვნული სულისკვეთება და პატრიოტული აღტყინება თვალშისაცემად არასოდეს აწუხებდა ბატონ ალეკოს, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო: ფული თუ გვინდა, სკოლებში პროგრამების შეცვლაა საჭირო მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებითო. ეტყობა, ამას არავინ ელოდა.

60 მილიონად უღირს (?!) თურმე მინისტრს ფასდაუდებელი ეროვნული მეობა.

განათლების მინისტრის საკითხზე მუშაობა საგამოძიებო კომისიას მარტში დაევალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კარტოზიამ სამთავრობო ლოჟიდან აიწყვიტა და დეპუტატის საცეკვად იწევდა. ქვეყანას რომ პატრონი ჰყოლოდა, არა თუ მინისტრი, სამინისტროს მთელი მმართველობა კარგა ხნის მოხსნილი უნდა ყოფილიყო. მინისტრის „საგმირო" საქმეებზე სადაც ჯერ არს ტომები დევს, კარგა ხანია: არ შემუშავდა ახალი დაბულება პედაგოგთა ატესტაციის შესახებ, არ შესრულდა კანონი კვალიფიკაციის ამაღლების განხრით, არ ჩატარდა აკრედიტაცია, არ დამტკიცდა უმაღლესი სასწავლებლების ახალი სერთიფიკატები და ა.შ. ეს ბრალდებები უსაფუძვლო სულაც არ გახლავთ კანონი განათლების შესახებ მინისტრის მიერ დარღვეულია, ამას თავად კარტოზიაც აღიარებს, თუმცა... კანონის არ შესრულება პრობლემა არ გახლავთ ჩვენი ჩინოსნებისთვის.

წყალშემდგარი მინისტრის საქმეს, როგორც ვარაუდობენ, მიხეილ ოსაძის კომისია წერტილს დაუსვამს. რადგან საქმე აქამდე მივიდა, ალბათ,ალარც კარტოზიას ეპარება ამაში ეჭვი. ჯერ საგამოძიებო კომისიას არცერთი საქმე „არ გაუმაზავს". კარტოზია დაასწრებს „გაქცევით" თუ კომისია „იმპიჩმენტის" საკითხის დაყენებით, ამას დრო გვიჩვენებს. პროგნოზები აჩვენებს, რომ ბატონ ალეკოს „ცულლუტობა" არ შერჩება, მარადმწვანე განათლების მინისტრი შემოდგომის სუსხს ვერ გაუძლებს, „გაყვითლდება" და...

ეროვნული გაზეთი

მოვლენათა კვალდაკვალ

რეპორტაჟი გალიდან

რას ფიქრობენ „რუსეთის მოქალაქეობის“ მიღებაზე აფხაზეთში მცხოვრები ქართველები?

აფხაზეთის დაცემისთანავე, როდესაც ენგურის ხიდს აფხაზებთან ერთად დაჭრავებული ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები მოადგნენ, მათ თამამად, ყველასათვის მოურიდებლად აღმართეს სასაზღვრო ფირნიში „КРАСНОДАРСКИЙ КРАЙ!“ მაშინ ბევრ ჩვენთაგანს ეგონა, რომ ეს იყო გამარჯვებისგან რეტდასხმულთა მორიგი ილუზია. ისიც გვჯეროდა, რომ მალევე დავუბრუნდებოდით მიტოვებულ სახლ-კარებს და ჩვენს ისტორიულ მიწაზე გადამთიელთა თარეშსაც მოვუღებდით ბოლოს.

სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლის შემდგომ ეტაპზეც (კონფლიქტში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა, სხვადასხვა პოლიტიკური დიალოგები და დებატები) გამოვლინდა ჩვენი ხელისუფლების უმწეობა. გამოღმა დარჩენილი ასიათასობით დევნილისათვის აფხაზეთში დაბრუნება ოცნებად იქცა.

საქართველოსა და აფხაზეთის გამყოფი საზღვარი თანდათან მკვეთრად დაფიქსირდა. ხელისუფლების უნიათო პოლიტიკამ განაპირობა ისიც, რომ ენგურს გაღმა, განსაკუთრებით გალის რაიონში მოსახლეობის ძალიან დიდი რაოდენობა უნებართვოდ დაბრუნდა. სამიოდე ლარად შეძენილი აფხაზურ-რუსულ ენაზე შეთითხნილი საბუთი მათ უსაფრთხოების მცირე გარანტად „მიიღეს“ და იქ სიცოცხლის რისკის ფასად დარჩნენ.

იმხანად აფხაზებმა ქართული გენისადმი ზიზღი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტებიდან ქართულად ნაწერი გვერდის ამოხევით გამოავლინეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრ მათგანს თავადაც მოუწია საკუთარი პასპორტიდან ამ ფურცლის ამოხევა. უმწეოდ დარჩენილ ადამიანებში თვითგადარჩენის ინსტინქტი მძლავრობდა.

უკანასკნელ პერიოდში ენგურს გაღმა დარჩენილი მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ყველასათვის კარგადაა ცნობილი იმ სკანდალის შესახებ, რაც პასპორტების შეცვლასთან დაკავშირებით ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. კერძოდ, იქ ახალ პასპორტებში რუსეთის მოქალაქეობის ჩაწერა და შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება მიმდინარეობს.

გალის რაიონში ჩემი გამგზავრების მიზანსაც იმის გარკვევა წარმოადგენდა, რა განწყობაა შექმნილი იქაურ მოსახლეობაში. ენგურს გამოღმა ბევრი ვარაუდობს, რომ „რუსეთის მოქალაქეებად“ ჩაწერა გარდა იმისა, რომ სამშობლოს ღალატია, იქ დარჩენილი ადამიანებისათვის უსაფრთხოების ყველაზე მყარი გარანტიცაა და გადამწყვეტ მომენტში არ არის გამორიცხული, რომ საკუთარი ხელისუფლებისადმი უმედოდ დარჩენილმა ადამიანებმა თანხმობა განაცხადონ რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე. ღმერთმა ნუ ქნას, რადგან ეს ქმედება საბოლოოდ დაუსვამს წერტილს საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტას, რასაც საკუთარი ნებითვე შევუწყობთ ხელს. მით უმეტეს, დღეს გალის რაიონის ყველა სოფელში, ძირითადად ქართული მოსახლეობა ცხოვრობს. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ისინი თავდაუზოგავად ემსახურებიან ქართულ საქმეს და მათთვის ეროვნულობა, ქართველობა ყველაზე ფასეულია. ამას მოწმობს ისიც, რომ მათ უმძიმეს პირობებში მოახერხეს ქართულ სკოლებში სწავლების განახლება. იქ ჩვენი პატარები არძინბას სისხლიანი რეჟიმის ქვეშ სწავლობენ „დედა ენას“.

** მიმოზა აბშილავა, ოტობაიას 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი:**

— წლეულს ჩვენთან 15 ბავშვმა დაამთავრა საშუალო სკოლა. დიდი ზეიმით გავაცილეთ ისინი. ვიტოვებთ იმედს, რომ გაამართლებენ და ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ.

აქვე მოგახსენებთ, რომ სკოლა საქართველოს განათლების სამინისტროს ექვემდებარება. ვმუშაობთ უხელფასოდ. იყო მრავალი დაპირება, რომ მოგვხედავდნენ და ჩვენი დაფინანსების საკითხს პარლამენტში დასვამდნენ, მაგრამ ამ ხნის

მანძილზე ჩვენს სასასარგებლოდ არაფერი შეცვლილა. გასულ წელს მივიღეთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით, წელსაც გვპირდებოდნენ, სასწავლო წელი მიიწურა და ჯერ არაფერი ჩანს.

ყველას ერთიანად გვიჭირს. სკოლაში მომუშავე მასწავლებლების უმეტესობას მაისის ტრაგედიისას გადაუწვეს სახლები. უკიდურესად გვიჭირს და, მიუხედავად ამისა, ერთგულად ვემსახურებით მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. ყველა საგანი ისწავლება. მოვიზიდეთ ახალგაზრდა კადრებიც. სასიხარულოა, რომ ბავშვები ქართული სულისკვეთებით იზრდებიან და ეროვნული სიამაყე მათ სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი.

სამანა დგებუაძე, გალის რაიონის დამსახურებული პედაგოგი:

— არსებულ პირობებში „უნებართვოდ“ დაბრუნება გმირობის ტოლფასად მიმაჩნია. პირადად მე 1999 წლის მარტში გადმოვედი. მანამდე ორსანტიაში, მოსაზღვრე სოფელში ვცხოვრობდი ნათესავთან. ძალიან ჭირდა და იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი. სხვა გზა არ მქონდა. მოხუცი დედითა და მამამთილით ვერავის მივეკედლე. სხვაგან არაადამიანურ სიცოცხლეს ჩემს მიწაზე ვარჩიე სიკვდილი, ამ რწმენით დავბრუნდი. პედაგოგის ოჯახში დავიბადე და ქართველობა წარმოადგენდა ჩემთვის ყველაზე დიდ სიამაყეს. ახლაც სამენოვანი პასპორტი მაქვს. არავის უკადრებია ჩემთვის, რომ ქართულად ნაწერი გვერდი ამოეგლიჯათ... ძალიან გვიჭირდა, ახლაც გვიჭირს, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ვერ დავბრუნდებოდით! ჩვენი აქ დარჩენა „ჩვენს დაბრუნებას“ არ ნიშნავს, რადგანაც აქ ყოველ დღეს მოაქვს სიკვდილსა და უბედურებაზე ფიქრი. რაღაც საოცარი რისკი გავწიეთ.

უბედურებაა საქართველოსათვის ის ფაქტი, რაც პასპორტებთან დაკავშირებით ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. „რუსეთის მოქალაქეობა“ ნიშნავს, რომ ამით რუსს დავამკვიდრებთ ჩვენს მიწაზე. ეს არ უნდა მოხდეს! მე დღეს აქ ვცხოვრობ იმ რწმენით, რომ საქართველო აუცილებლად გამთლიანდება. თუ აფხაზეთი არ დაბრუნდა საქართველოს შემადგენლობაში და თუკი საბოლოოდ დავრწმუნდები ამაში (ღმერთმა ნუ ქნას), სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მხოლოდ მაშინ დავტოვებ აქაურობას. ჩემი დარჩენით შეძლებისდაგვარად ვცდილობ ქართველობის შენარჩუნებას. ეს ჩემი მოვალეობაა, ჯერჯერობით აქ უნდა დავრჩე!

ანტიფო გეჯუა, ს. ოტობაიას მკვიდრი:

— ჩვენ ეროვნული სულისკვეთებით დავბრუნდით მშობლიურ მიწაზე და არასოდეს დავუშვებთ, რომ ჩვენს პასპორტში „რუსეთის მოქალაქე“ ჩაიწეროს. ეს ჩვენთვის მიუღებელია. ამ აზრზეა ყველა, ვინც ამ უკულმართ პერიოდში დარჩა გალის რაიონში. ქართველობაზე ძვირფასი აქ ჩვენთვის არაფერია. როდესაც პირადობის მოწმობიდან ეროვნება ამოგვიღეს, ეს ტრაგედიად აღვიქვით. აფხაზებს 61 დღის განმავლობაში არნახულ პირობებში ვყავდით მძევლად, ყოველდღე სიკვდილს შევცქეროდით და მაინც ვახერხებდი, რომ ხმამაღლა გამომეხატა ჩემი ეროვნული მეობა. ბოლომდე ამას გავიძახოდი. წარმოიდგინეთ, აფხაზსაც კი გავაგებინე, რომ ის საქართველოს მოქალაქეა. წუთით მაინც დავაფიქრე!

ქართული სკოლის არსებობით შევინარჩუნეთ ეროვნული სული და აზროვნება. გვქონდა პრობლემები, მაგრამ არცერთი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. თუ სერიოზულად, მთელი სიმწვავით დადგება პასპორტებში „რუსეთის მოქალაქეობის“ აღნიშვნის საკითხი, მოვიქცევით ისე, როგორც ეს ჩვენს ქართველობას ეკადრება.

როგორც ვხედავთ, ენგურს გაღმა დარჩენილი ადამიანებისათვის ეროვნული შეგნება ის მყარი ბალავარია, რაც მათ მშობლიურ სახლებში სიცოცხლის რისკის ფასად დარჩენის უფლებას აძლევთ. ბუნებრივია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე „პასპორტიზაციის“ პროცესით არსებულ საფრთხესაც ყველაზე მტკივნეულად სწორედ ისინი აღიქვამენ. თუმცა, ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, იქ საქართველოს მოქალაქეები რუსეთის მოქალაქეებადაც ეწერებიან...

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვე ***აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, მურად ანჯაფარიძეს.***

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო დღეებში რამდენიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ რუსეთის სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურების ხელშეწყობით აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო საბუთების შეგროვება იქ მცხოვრები ქართველი მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, — აღნიშნა მან, — ადრე ამას არ ჰქონდა მასიური ხასიათი და დაკავშირებული იყო რიგ ფორმალობასთან. რუსეთის ოფიციალური სტრუქტურები ითხოვდნენ, რომ განმცხადებელს აუცილებლად ჰქონოდა საცხოვრებელ ფართზე თანხმობა რუსეთის ტერიტორიაზე ან სამუშაო ადგილი ნებისმიერ ორგანიზაციაში. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიან პასპორტში არ უნდა ყოფილიყო შტამპი „საქართველოს მოქალაქე“. ამ შემთხვევაში ბოლო მოითხოვნა დარჩა, რადგან საქართველოს მოქალაქედ წოდებულ პირს არა მგონია, რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭონ. სხვა დანარჩენი, რაც შეეხება ფართს, სამუშაო ადგილს, ამის აუცილებლობა არ არის.

ჩვენ დღესდღეობით ვერაფერს ვუპირისპირებთ ამ სიტუაციას. რაც შეეხება აფხაზებს, მათი ნაწილი ამას არ ეთანხმება. გვაქვს ინფორაცია, რომ ამ დღეებში გუდაუთის რაიონში ჩატარდა საკმაოდ დიდი მიტინგი, სადაც აფხაზებმა განაცხადეს, რომ ეს არის პირდაპირი ხელყოფა აფხაზეთის სუვერენიტეტისა, რადგან რუსეთის მოქალაქეებად აფხაზეთში მცხოვრები ხალხის მიღების შემთხვევაში მათ შეიძლება განახორციელონ სხვა პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებებიც.

რაც შეეხება საკითხს, ოფიციალურად რამდენიმე ადამიანმა მიიღო ახალი პასპორტი, როგორც ბატონმა მურადმა გვითხრა, ქართული მხარისათვის ეს უცნობია. მისივე თქმით, მიმდინარე პროცესის მიმართ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მკვეთრი განცხადება გააკეთა. ასევე, შესაბამისი მსჯელობები ჰქონდათ პარლამენტის კომიტეტში. „აფხაზეთის“ სახელწოდების მქონე ორივე ფრაქციამ იმუშავა ამ საკითხზე, დისკუსიები გრძელდება.

მურად ანჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ახალ პასპორტში „რუსეთის მოქალაქეობის“ ჩაწერით შესაძლოა გადაწყვიტონ რუსეთის შემადგენლობაში მიღების საკითხი.

— ცნობილია, რომ რუსეთში პასპორტების ოფიციალური გამცემი არის რუსეთის ოფიციალური სტრუქტურა, შსს შესაბამისი დანაყოფები, — აღნიშნა ბატონმა მურადმა, — რამდენი პასპორტიც არ უნდა შეაგროვონ აფხაზეთში, ეს იქნება ე.წ. „სლავიანსკი დვორი“ თუ „რუსკი დვორი“, თუკი არ გასცემს მას ოფიციალური სტრუქტურა, ყველაფერი იქნება ყალბი. მაგრამ ჩანს, რომ ეს არის მაღალი სტრუქტურებისგან მიღებული დავალება, რომელსაც ასრულებენ გარკვეული ორგანიზაციები აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

აფხაზეთის საკითხის განხილვას ფეხბურთის ყურება ურჩევნიათ დეპუტატებს

აფხაზეთის საკითხის განხილვა პარლამენტის დღის წესრიგიდან კიდევ ერთხელ ამოვარდა, რამაც დევნილ მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ხელისუფლებისადმი უნდობლად განწყობილებმა საპროტესტო აქციების გამართვით შეახსენეს მმართველ ძალებს დევნილთა პრობლემების არსებობა საქართველოში, მაგრამ ამაოდ... პარლამენტის ცარიელ დარბაზში საკონსტიტუციო ცვლილებაზე საუბარიც კი წარმოუდგენელი იყო სრულიად უბრალო მიზეზის გამო — მსოფლიო საფეხბურთო მატჩების ციებ-ცხელებას აყოლილი პარლამენტარებისთვის, აფხაზეთის საკითხი ვერა და ვერ იქცეოდა ნომერ პირველ პრობლემად.

ასე თუ ისე, აფხაზეთის საკითხი პარლამენტში კიდევ ერთხელ დაიბლოკა ჩვენთვის ჯერაც „გაურკვეველი“ ძალების მიერ. არც გასაკვირია, თუ წინა განხილვების შედეგებს გავითვალისწინებთ, შეუსრულებელი დადგენილების გარდა ხელთ არაფერი შეგვრჩა, რაც უფრო დაბლა სცემს პარლამენტის პრესტიჟს.

საქართველოს პრეზიდენტი ჩვეული სიდინჯით იკავებს თავს და აცხადებს, რომ სტატუსის ცალმხრივად, აფხაზური მხარის გარეშე განსაზღვრა მიზანშეუწონელია, რადგან ამან, შესაძლოა, ნეგატიური ასახვა ჰპოვოს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაზეო.

„პარლამენტის დელეგაცია ჩამობრძანდეს და გვითხრას სიმართლე!“ „სანამ არ მივიღებთ კონკრეტულ პასუხს არ დავიშლებით!“ „ცხრა წელიწადია, რაც გვატყუებენ, ხალხის მოთმინების ფიალა არ არის უსაზღვრო!“ „მოგვხედეთ, გვიპატრონეთ!“ „ხელისუფალნო, ან მოუარეთ ქვეყნის პრობლემებს ან გადადექით!“ — ეს ფრაზები დევნილთა ერთერთი აქციიდან შევკრიბეთ, სადაც ხალხის რისხვის დასაშოშმინებლად გამოსული პარლამენტარი კობა დავითაშვილი ამაოდ ცდილობდა აქციის მონაწილეთა დარწმუნებას, საკონსტიტუციო ცვლილებას ორი მესამედი ანუ 157 ხმა სჭირდება, ახლა პარლამენტის დარბაზში მხოლოდ 57 დეპუტატიაო...

ამ ეტაპზე დევნილები კატეგორიულად მოითხოვენ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასა და აფხაზეთის ტერიტორიიდან ე.წ. რუსი სამშვიდობოების გაყვანას.

რეალობა ანუ უშედეგობა, ეს არის უბრალო ხედვა, „უბრალო“ ადამიანების მიერ, მაგრამ არსებობს პოლიტიკური ანალიზიც... ეს უკანასკნელი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ლონდერ ცაავას განმარტებით, ასე გამოიყურება:

„ყველა საერთაშორისო დონის დოკუმენტში, ეს იქნება გაეროს რეზოლუციები, ეუთოს დოკუმენტები, თუ დსთ-ს გადაწყვეტილებები, ყველგან აღნიშნულია, რომ აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენელი ნაწილი. მეტსაც გეტყვით, გაეროს მიერ შემუშავებულია პროექტი, რომელიც გადაცემულია განსახილველად. მას ჰქვია „დიტერ ბოდენის მიერ დამუშავებული პრინციპები თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა განაწილების თაობაზე“. ეს იგივე სტატუსის განსაზღვრაა. ახლა შექმნილია ისეთი პოლიტიკური ფონი, რომელმაც წინ წასწია ეს საკითხი და ისლა დაგვრჩენია, ხელისუფლებაში დროზე დავიწყოთ მსჯელობა სტატუსის შესახებ. დღის წესრიგში შეტანილია საკითხი განსახილველად, მიმდინარეობს მსჯელობა და, იმედია, პარლამენტი საბოლოოდ მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას“.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, თამაზ ნადარეიშვილი კვლავ აფიქსირებს უნდობლობას და ულტიმატუმის სახით დათქმულ ვადას, 1 აგვისტოს გვახსენებს:

„შეგნებულად არ შედგა ფორუმი და ეს ნიშნავს, რომ პარლამენტს აფხაზეთის საკითხი არ აღელვებს. ჩვენი პოზიცია ასეთია: აუცილებლობად მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს აფხაზეთი, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში.

უკვე ნათელია რაც მოხდება: გაეროს უშიშროების საბჭო 31 ივლისს მორიგ ფარატინა ქალაღდს (რეზოლუციას) მიიღებს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხსენებული განცხადების შემდეგ, ვშიშობ, რომ ეს რეზოლუცია ჩვენთვის კიდევ უფრო საზიანო იქნება. რა უნდა ვუთხრა ხალხს? ვშიშობ, რომ მიმდინარე აქციები თანდათან ცუდ რაღაცაში გადაიზრდება, თუმცა 1 აგვისტომდე კიდევ დარჩა დრო და მცირეოდენი იმედი მაქვს, რომ მთლად ისე წყალწაღებულნი არა ვართ, რომ ისევ ისე უდარდელად გავაგრძელოთ ცხოვრება და მშვიდად ვუცქეროთ ჩვენი ქვეყნის „აბოლოო დაცემას“...

გვერდი მოამზადა
მარი ჩიტაიამ

საგანძური

ქართული საბრძოლო ხელოვნება ათასწლეულებს ითვლის

ქართული ხმლის წონა 500 გრამს შეადგენს. საოცარი ძალა ჰქონდა მას. დღემდე მოგვიტანა ეროვნული მეობა ქართულმა ხმალმა და ქვეყნისთვის სიყვარულით ანთებული გმირების მარჯვენამ.

თანდათან დავიწყება იპყრობს ყველაფერს. ძველი ოსტატები აღარ არიან, აღარც ხმლით სჭირდება ვინმეს ბრძოლა. მუზეუმებსა თუ ისტორიულ სახელმძღვანელოებსღა შემორჩა ქართული მადლიანი ხმალი და საოცარი ბრძოლის ამბები...

კახა ზარნაძე 500 გრამიანი ქართული ხმლის გაჭედვაზე მუშაობსო, ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ. კარგად გვენიშნა. კიდევ იბრძვის ვიღაც ეროვნული განძის, ცოდნის გადარჩენისთვისთქო. ახლა,როცა ქართველობის დისკრიმინაციას მავანნი აქტიურად ეწევიან, ახლა, როცა ქართველების გაუცხოება ყოველივე ქართულის მიმართ ინტერესიურად მიმდინარეობს, თითოეული ნაბიჯი ჩვენი მეობის შენარჩუნებისთვის გადადგმული, თითქმის გმირობის ტოლფასია, იქნება ეს ქართული საბრძოლო ხელოვნების, ილეთების მოძიება თუ ჭედური ხელოვნების გაცოცხლება, რაც კახა ზარნაძის სახელს უკავშირდება.

ქართული საბრძოლო ხელოვნება ათასწლეულებს ითვლის. ის, რაც დღეს ხრიდოლის სახელით არის ცნობილი, საუკუნეებიდან საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რაც დღემდე შემორჩა და, რაც კახა ზარნაძის, ლევან კიკალიშვილის და ზურაბ ალავიძის დიდი მონდომებისა და გულმოდგინე ჯაფის შედეგად არ დაიკარგა, მხოლოდ 7% თუ გახლავთ იმისა, რაც კი არსებობდა საქართველოში, თუმცა ყოველივე ამის შესახებ თავად კახა ზარნაძე უკეთ მოგვითხრობს.

— ის ხალხი, ვისგანაც საბრძოლო ხელოვნების ილეთები ვისწავლე, უკანასკნელი მოჰიკანები იყვნენ, ვისაც თავიანთ მამა-პაპათაგან მიღებული ჰქონდათ სერიოზული ცოდნა. ხშირ შემთხვევაში ამას სისტემურობის ხასიათი აღარ ჰქონდა. რადგან ისინი ბევრნი იყვნენ, მათი მონაყოლის და ნასწავლის ბაზაზე სისტემის შეკვრა მაინც მოხერხდა. უკვე 15 წელია ამ საქმიანობით ვარ დაკავებული.

ჩემი პირველი შეხება საბრძოლო ხელოვნებასთან 1986 წელს მოხდა. სოფელ უკანაფშავში არდადეგებზე ვიყავი წასული. იქ გავიცანი ჩემი მეგობრის, ოლეგ სოხურაშვილის ბაბუა ავთანდილ სოხურაშვილი. მან პირველმა მაზიარა ისეთ ისტორიულ ფაქტებს, რასაც მე სხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობებში თუ სისტემებში ვეძებდი. ამ პერიოდისათვის აღმოსავლური სისტემით ვარჯიშის ათწლიანი გამოცდილება მქონდა. ეს პიროვნება ჩემთვის ცოცხალი მემატიანე იყო.

საქართველოს ისტორიას და ეთნოგრაფიას პირველად ამ კაცის შემწეობით შევეხე სხვა კუთხით. ბრძოლის კანონებს, ადათ-წესებს, მებრძოლთა ყოფას და მათ ცნობიერებას ვსწავლობდი. მან გამიხნა ეს კარი. იგი ისეთ რამეებს მიყვებოდა, რასაც ვპოულობდი ჩინურ, აღმოსავლურ, იაპონურ, ინდურ მითოლოგიაში და იქაური სხვადასხვა ფიზიკური აღზრდის სისტემებში. საბრძოლო ხასიათის სისტემებზე მაქვს საუბარი. როცა დაინტერესება შემატყო, თავის ძმადნაფიცთან გამაგზავნა, მე პრაქტიკულად ვიცი, ჩემზე უკეთ კი მან იცისო. აქედან მოყოლებული დავდივარ და ვკრიბავ ასეთ ილეთებს. ჩემი მასწავლებლები იყვნენ: გიგი წიკლაური, მიხა არაბული, რეზო გულბანი, რამოდენიმე ათეული ადამიანი. ხრიდოლზე ინფორმაცია მალხაზ გველუკაშვილის ბაბუისგან, გიი ıგი გველუკაშვილისგან მაქვს. ბატონ გიორგის მუშტით დათვი ჰყავდა მოკლული. მარჯვენა ხელის მაჯაზე ატარებდა გველის ტყავს, ძალიან მისტიკური პიროვნება იყო. ქართლოს ლიპარტელიანმა დათვი ხელით დააღრჩო, ხოლო რეზო გულბანმა სტუმრობისას ძმაკაცი გამაცნო, რომელმაც ორჯერ დააგდო დათვი ბეჭებზე. როგორ ეჭიდავე დათვს-მეთქი — გავოცდი. მაგას რა უნდოდა, ილეთები არ იცოდაო. იქვე მაჩვენა ის ფანდები. მეტი წილი ილეთები მათგან ვისწავლე.



სიახლეს ხრიდოლის შესახებ დაცინვით შეხვდნენ

— პირველად 1989 წელს გავაკეთე მოხსენება, რომ ასეთი რამ არსებობს საქართველოში. ჩამოყალიბდა ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლის ასოციაცია. დამფუძნებულია სხდომას 145 დელეგატი ესწრებოდა. ყველა კარატისტი, კუმფუისტი და ა. შ. იყო. როცა ვთქვი, ასეთი რამ არსებობს საქართველოში-მეთქი, სიცილი დამაყარეს. ერთადერთი პიროვნება, ვინც სერიოზულად დაინტერესდა ამით, ბატონი დავით თევზაძე იყო. დღესაც არ დაუკარგავს ინტერესი და სერიოზული კონტაქტები გვაქვს. სხდომაზე რომ დამცინეს, სამი პიროვნება ჰაერში დაერჩით გამოკიდებული. გული მეტკინა, სულ ეგ არის თქვენი ქართველობა-მეთქი? წამოვედი და მარტომ გავაგრძელე მუშაობა ამ საქმეზე. მივხვდი, თუ დოკუმენტი არ მექნებოდა, ზეპირად ვერავის ვერაფერს გავაგებინებდი. ამ დროიდან მოყოლებული ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს ვაფიქსირებ ვიდეოკამერით, ფოტოაპარატით, ჩანაწერებით.

პირველი ვარჯიშები კონსერვატორიაში ტარდებოდა?!

— მოგროვებული მასალის ბაზაზე 1993 წელს ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „ხრიდოლი“ ჩამოვაყალიბეთ სამმა კაცმა: მე, ლევან კიკალეიშვილმა და ზურაბ ალავიძემ. ჩვენ ერთი იდეოლოგიით ვიყავით გამსჭვალული. პარადოქსია, მაგრამ პირველი ვარჯიშები კონსერვატორიაში, სპორტულ დარბაზში ტარდებოდა. ბატონი ზურა კონსერვატორიაში დეკანი იყო მაშინ.

აღიარება

— პირველი სერიოზული აღიარება გვქონდა 1995 წელს, როცა აქ ჩამოვიდა იუნესკოს კომისია როუე ბამუკის ხელმძღვანელობით. ეს კომისია სწავლობდა ნაციონალური სპორტის და ტურიზმის საშუალებებს და სახეობებს საქართველოში. მაშინ სპორტის დეპარტამენტიდან დაგვიკავშირდა ბატონი ვაჟა ნუცუბიძე და გვითხრა, ერთადერთი ორგანიზაცია, ვინც საქართველოში ასეთ რამეს აკეთებს, თქვენა ხართ და იქნებ რამე გვიშველოთო. ჩვენც სპორტის სასახლეში მოვაწყვეთ ჩვენება. 48 ილეთი გავიტანეთ და ამხელა ზორბა ზანგი აღფრთოვანების ნიშნად ტრიბუნებიდან ჩამოვიდა და ხელს გვართმევდა. ვაჩვენეთ სვანური, რაჭული ჭიდაობები, ხევსურული სათითეები, კრივის ნაირსახეობები, ხიტკისა — მეგრული თვალხვეული ხანჯლაობა... გაოგნებულები დარჩნენ.

სვანური ჭიდაობა 3000-4000 წელს ითვლის

საქართველოში ფიქსირებულია 23 ნაირსახეობის ჭიდაობა. ქართული ჭიდაობა სინამდვილეში 6 ნაირსახეობის ჭიდაობის ელემენტებისგან შედგება. შიგნით არის ხევსურულის, რაჭულის, სვანურის ფანდები, ქართლ-კახური ჭიდაობები ამის ბაზაზეა მთლიანად გაკეთებული.

სვანეთში ორი სახეობის ჭიდაობაა, ერთი გუნდური სახეობაა, მეორე — ერთი-ერთზე. ჩვენი ზოგიერთი სისტემა თავისი ასაკით 3000-4000 წელს აბიჯებს. სვანურ კრიობებში: ლიგჯგუბელში და ლივიჯდიგელში სანამ იკრივებდნენ, წინ ფერხული და როკვები მიმდინარეობს ხარის ტოტემის თაყვანისცემის ნიშნად. რქებივით იჭერენ ხელებს. მიდის ყმუილი და ხარების ბულრაობის რიტუალი თამაშდება. ძნელი მისახვედრი არ არის, ამ შემთხვევაში ხარის კულტთან გვაქვს საქმე და კიდევ რამდენათასწლეულს ჩადის ქვევით მისი ასაკი, ღმერთმა იცის. მით უფრო, რომ სვანეთში ისეთი მედალიონებია ნაპოვნი, რომელზეც მინუსის ტაძრის საკულტო სცენებია აღბეჭდილი. იქაც მინოტავრი, აქაც ხარის კულტთან დაკავშირებული სცენები. აღარ ვსაუბრობ თუშეთზე, ხევსურეთზე. იმდენი იშვიათი ცოდნა გაგვაჩნია ქართველებს, მოიხიბლება კაცი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ.

18 კუთხური ცურვის ნაირსახეობა გვაქვს საქართველოში, ხოლო უამრავი — ზუზიების, შხამის სწრაფად მომაკვდინებელისა.

რატომ დაიხურა ფედერაცია „ხრიდოლი“?

— როცა დაინახეს, ასეთი რამ კეთდებოდა, დაიწყეს პარალელური სტრუქტურების შექმნა. გაიხსნა ქართული აიკიდოს სკოლები, ქართული მუშტის, ქართული კრივის ფედერაციები. ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეხურა ფედერაცია, რადგან პარალელურმა სტრუქტურებმა ყველაფერი ერთმანეთში აურ-დაურია. ყველაფერს „ხრიდოლი“ დაერქვა, თუმცა ფედერაციის დახურვის მთავარი მიზეზი, ალბათ, მაინც პლაგიატების არსებობა იყო. დღეს არ არსებობს კანონი, რომლის ძალითაც პასუხს აგებინებ ადამიანს, რომელიც შენი სახელით სარგებლობს და ბეჭდავს ფულს. რადგან ინფორმაცია მხოლოდ ჩვენ გვაქვს, რამდენიც არ უნდა იხტუნონ, მაინც გაიჭედებიან. მეორეც, ისინი იძულებული გავხადეთ, კვლევა თავად გააგრძელონ და ქვეყნისთვის ცოტა კეთილი საქმე მაინც გააკეთონ. თუ მე გამომრჩა და ვერ ვნახე ვინმე, იქნებ იმათ მაინც მიაკვლიონ და ცოდნა გადარჩეს, არ დაიკარგოს. იქნებ ამ მხრივ მაინც გახდნენ სასარგებლონი.

...და დაიწყო ქართული საბრძოლო ხელოვნების მეცნიერული კვლევა

— 1995 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით სპორტის დეპარტამენტში კოლეგიის სხდომა მოეწყო. ფიზკულტურისა და სპორტის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ბატონ იაშვილს მიეცა მითითება ნაციონალური სპორტის განყოფილების შექმნის შესახებ. განყოფილების უფროსად მე ამიყვანეს. ორი წელი ვიმუშავე. შევეჩვიე მეცნიერული ხასიათის კვლევას. კვლევით ცენტრს დაერქვა „ჯგირაკი“, რაც წმინდა გიორგის ნიშნავს.

დღეს კვლევით ცენტრში სხვადასხვა მიმდინარეობები არსებობს, ჭიდაობები ცალკეა, კრივი, ფარიკაობა, მშვილდოსნობა ცალკე. საბრძოლო ხელოვნებას „ვეფხისტყაოსანში“ სამამაცო ზნე ჰქვია. ამ ტერმინს ხმარობს არჩილ მეფე, ვახუშტი ბატონიშვილი. თვით „ილიადასა“ და „ოდისეას“ ქართულ თარგმანებშიც გვხვდება „ზნენი სამამაცონი“.



ჩელთის (დიდი ზომის) ტიპის დანები

ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევით ცენტრ „ჯგირაკთან“ არსებული საექსპერიმენტო სამჭედლო„ამირანი“.

ევროპას კონდახიანი მშვილდების შეძენაში 14 საუკუნით გავუსწარით

— თავის დროზე აკადემიკოს ვასო ელიაშვილს მოსკოვიდან იუნესკოს ეგიდით მიეცა დავალება, სსრკ-ს ტერიტორიაზე მშვილდოსნობის ისტორია გაეკეთებინა. მსოფლიოში ისრის მოწევის სულ ხუთი ხერხია ცნობილი. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ბატონმა ვასომ იმ ხუთისგან განსხვავებით კიდევ ხუთი მარტო საქართველოში აღმოაჩინა. ერთი ჩვენც დავუმატეთ, ახლა უკვე 6 ხერხი არსებობს. აღარ ვსაუბრობ კონდახიან მშვილდებზე, რომლებიც საქართველოში ძველი წ. აღ-ის მე-2 საუკუნეში ფიქსირდება, ევროპა კი მას მე-12 საუკუნემდე არ იცნობს.

რატომ იბრალებენ სპორტები საძართველოში ჭიდვის ოსტატობას?

— წლების მანძილზე მუშაობამ უამრავი ილეთი დააგროვა. აუცილებელი გახდა ისეთი იარაღის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ამ ილეთების შესრულებისას. ქარხნული წესით დამზადებული იარაღით ვერ ფარიკაობ, ხარისხი არ უვარგა. გადავწყვიტეთ, ბედი ცივი იარაღის გაჭედვაშიც გვესინჯა.

საქართველოში 12 ნაირსახეობის დანა, 15-ზე მეტი ტიპის ხმალი და 25 შუბის ნაირსახეობა გვაქვს. მშვილდებზე ხომ დილიდან საღამომდე შეიძლებოდა საუბარი.

რატომღაც ჭრცელდებოდა ინფორმაცია, ისტორიულად იარაღი ჩრდილოეთ კავკასიაში კეთდებოდაო, რაც სიმართლე არ გახლავთ. მადანი, რომლითაც იარაღი იჭედებოდა, რაჭაში იყო. იქვე მზადდებოდა და შემდეგ შესამკობად გადაჰქონდათ დაღესტანში, სადაც ვერცხლზე მუშაობდნენ.

თუ რამე ლიტერატურა გამოდიოდა საბჭოთა კავშირში ცივ იარაღზე, ყველას ავტორი სომეხია. ასავატურიანმა დაწერა „კავკაზსკოე ორუჟიე“, სადაც მითითებული აქვს, რომ მე-19 საუკუნეში თბილისში სულ 8 ქართველი მჭედელი, 60 სომეხი, 10 რუსი და 7 მუსულმანი იყოო. პრაქტიკულად, გაგვასწორა მინასთან. კი, მაგრამ საიდან ამდენი იარაღი, დღესაც რომ გააქვთ საქართველოდან? ან თბილისში რატომ მუშაობდა 60 სომეხი მჭედელი და არა ერევანში? ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ კარგად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯია და ბოროტი ადამიანის ზრახვები. ყველაფერს გვითახსირებენ. იციან ქართველი კაცის ბუნება, თუ წელში არ გაიშალა და თავისი წარსულით ვერ იამაყა, მოიხრება, მოიკუტება და ადვილად სამართავი გახდება.

ერთი ხმალი რომ გავჭედოთ, 90 სმ სიგრძის პირით, დაახლოებით 3 თვე სჭირდება. წელიწადში მარტო ამით რომ ვიყო დაკავებული, 4 ხმალზე მეტს ვერ გავჭედავ. წარმოიდგინეთ, რამდენი მჭედელი იქნებოდა საქართველოში და რამხელა სიცრუეა, სომხები ჭედავდნენ იარაღსო.

ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევით ცენტრ „ჯგირაკთან“ არსებული საექსპერიმენტო სამჭედლო „ამირანის“ ნამუშევრები მსოფლიოს შვიდ პრეზიდენტს აქვს, როგორც კახა ამბობს. მათ შორის არიან აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ირანის პრეზიდენტები, აგრეთვე საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრი, აიკიკაი წყნარი ოკეანის ფედერაციის პრეზიდენტი მერვე დანის მფლობელი ჰიდოკი შიოკირა და დუმაის შეიხი. ამ სკოლის ჭედურობის ხელოვნებით აღფრთოვანებულმა გერმანიის პრინცმა კი ხელით ნაკეთები ხანჯლისათვის სიგელი გადასცა და ჰერცოგის ტიტული მიანიჭა კახა ზარნაძეს.

ვინ არის კახა ზარნაძე?

— ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში არსებობდა მენაკეთა რიგები, მას ერთგვარი ჯარის სისტემა ჰქონდა. არსებობდა 9 საფეხური, რომელთაგან ყველაზე დაბალი შეგირდი იყო, ხოლო ყველაზე დიდი მოძღვარი. თუ ადამიანი ორ შვიდეულს (14 წ.) არ ითვლიდა დაბადებიდან, შეგირდი ვერ გახდებოდა, მოძღვრობისთვის კი ცხრა შვიდეული იყო აუცილებელი, ბოლოს ყველაფერი კიბერობამდე მიდიოდა, რადგან ყველაგზა უფალთან მთავრდება.

არსებობდა წოდება მესვეური, რომელიც მენაკეთა რიგში არ ჯდება. იგი გზის გამკვლევია, შავი მუშაა, რომელსაც ცოდნის შენახვა ევალება. მეც სწორედ ამ ფუნქციას ვასრულებ დღეს.

მანანა ლოგჯანიძე

P. S. ცხადია, იმითაც დავინტერესდი, ჩემს რესპოდენტსაც თუ შეეძლო დათვის დადება ბეჭებზე. თეორიულად ვიცი, თუმცა ჯერ პრაქტიკაში ამგვარი შემთხვევა არ მქონია, გაიცინა.

ჩვენის მხრივ ამას დავამატებთ, ღმერთმა უმრავლოს საქართველოს „მესვეურნი“ და არა მარტო დათვის, მტრის ბეჭებზე დადებაც შესძლებოდეთ მალე.

ობიექტური ინფორმაცია

ფრთხილად! დოლარს უჭირს

(„ფაინენშელ ტაიმსი“ ფრთხილ პროგნოზს აკეთებს)

1990-იანი წლების შუახანებში რომ დოლარმა სხვა ვალუტებთან შედარებით აღმასვლა დაიწყო, ზოგნი მას დიდ ვარდნას უწინასწარმეტყველებდნენ ახლო მომავალში. მაგრამ დოლარმა მაინც განაგრძო გაძვირება მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური ქარიშხლების მიუხედავად, თვით ისეთისაც კი, როგორიც იყო აშშ-ის ეკონომიკური რეცესია, რომლიდანაც იგი უკვე გამოდის. მაგრამ სწორედ ახლა ასე ჩანს, რომ დოლარიც მოწყლვადია (გარანტირებულად დაცული არაა). მან იკლო ევროსთან შედარებით. ამიტომ არაერთი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ დოლარის უძლეველობის ეპოქა მთავრდება.

დოლარის ეს შესუსტება ნაწილობრივ ემყარება ეჭვს, რომ რეცესიიდან გამოსვლის ეს პროცესი დროებითია, ანუ უნდობლობას ამერიკული ეკონომიისადმი მის მთლინაობაში. ბაზრები იმის სიგნალს გვაძლევენო, რომ გაჩნდა გრძელვადიანი შეეჭვება ამერიკული ეკონომიის ძლიერებაში სხვა ეკონომიებთან შედარებით. ამგვარად, საქმე ეხება, ჯერჯერობით, აზრს, „აღქმას“, და არა თვით რეალობას, მაგრამ საინვესტიციო ამინდს სწორედ ეს აზრი ქმნის. მისი (ამ აზრის) მთავარი წყაროა მიმდინარე ანგარიშის მზარდი დეფიციტი, რომელმაც ამ წელინადს 465 მილიარდ დოლარს უნდა მიაღწიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ-მა ყოველდღიურად 1,3 მილიარდი დოლარი უნდა მიიზიდოს უცხო ფონდებიდან, რათა დოლარი არ დაეცეს. მაგრამ თუ აქამდე უცხო ინვესტორები ერთმანეთს ასწრებდნენ ამერიკული აქციების ყიდვას და ამიტომ ეს პრობლემას არ წარმოადგენდა, დღეს ვითარება სხვაგვარია. „დოლარის სტატუსს, როგორც იმ საბოლოო ადგილისას, სადაც მსოფლიო დანაზოგები მოდის, საფრთხე ემუქრება“.

ფინანსთა შემოდენა, რომელიც აბათილებდა მიმდინარე ანგარიშის მზარდ დეფიციტს, როგორც ჩანს, მცირდება. გასულ წელს თვიურად საშუალოდ 44 მილიარდი შემოდიოდა, წელს — 14-16 მილიარდი. „ამგვარად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, სამომავლოდ, აშშ-ის უპირატესობა როგორც იმ ადგილისა, სადაც ინვესტიცია უნდა მივიდეს და უეჭველი მოგება მოიტანოს“. თუ თებერვალში გამოკითხულთა (ინვესტორთა) 42% ფიქრობდა, რომ ამერიკის კომპანიებში დაბანდება უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვაგან, დღეს ასე მათი 22%-ღა ფიქრობს.

ინვესტორთა შეეჭვებას მთლიანად ამერიკული ეკონომიის და მასში შემავალი კომპანიების მიმართ რამდენიმე წყარო კვებავს. პირველია ის, თუ მართვის და საბუღალტრო აღრიცხვის რა წესები და სტანდარტებია მიღებული ამერიკაში. ინვესტორები მიჩვეულნი არიან, ერიდონ აზიას მისი კლანური („ძმაბიჭური“) კაპიტალიზმის გამო. გარკვეული უკმაყოფილება აქვთ ამერიკული კომპანიების მიმართაც, რის თვალსაჩინო საფუძველსაც ის წარმოადგენს, რომ იქ მოგების ზრდა პროპორციულად ჩამორჩება მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას (რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მეორეზე ანგარიშგება ცოტა გაბერილია). მეორეა ის, რომ ნაყოფიერების ზრდა პირდაპირ არ აისახება მოგების ზრდაში. 90-იანი წლების შუაში ნაყოფიერება გაიზარდა საინფორმაციო ტექნოლოგიებში დაბანდების წყალობით. ამ ფაქტორმა თავისი მოქმედება გაავრცელა მთელ ეკონომიაზე, მან გაზარდა გამჭვირვალეობა და გააადვილა ეკონომიკურ ცხოვრებაში შესვლა, მაგრამ ამით მოიგეს, უფრო, თანამშრომლებმა და მომხმარებლებმა, და არა ინვესტორებმა (და, ამგვარად — პირველად 1960-იანი წლების შემდეგ — ერთდროულად მოიგეს მდიდრებმაც და ღარიბებმაც). მესამეც — გაზეთის თქმით — ინვესტორებს აფიქრებთ, ერთის მხრივ, ამერიკული პოლიტიკის მიმოხრის შესაძლებლობები, მეორეს მხრივ კი ამერიკის დიდი სახელმწიფო ხარჯები ტერორიზმთან ბრძოლისათვის (რასაც ბადალი არ ჰქონია ვიეტნამის ომის დროიდან) და ფოლადზე საიმპორტო ტარიფების გაზრდის მსგავსი ფაქტები, რაც თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვის ტენდენციაზე მეტყველებს.

ამერიკის ეკონომიის სიმძლავრეზე ეჭვის გაჩენის პარალელურად ჩნდება „ენთუზიაზმი“ სხვა ქვეყნებში დაბადნების მიმართ. მართალია, ცოტანი თუ მოელიან, რომ ევროზონა მიაღწევს ისეთ ზრდას, როგორიც ამერიკულ ეკონომიას ჰქონდა 90-იან წლებში, მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ ეს ზონა, თავისი ერთიანი ვალუტის ამუშავების წყალობით, რომელიც გააადვილებს კონკურენციას ამ კონტინენტის ქვეყნების საზღვართა გაღმა-გამოღმა, მალე მიაღწევს კონკურენტუნარიანი მეტოქის მდგომარეობას.

ევროზონაში დაბანდების სურვილს, ანალიტიკოსთა თქმით, ისიც გაზრდის, რომ იქ, მემარჯვენეთა მოძლიერების ტენდენციისდაკვალად, შემცირდება სახელმწიფოსმიერი რეგულაციის ხარისხი, ელასტიური გახდება შრომის კანონმდებლობა და შემცირდება გადასახადები კორპორაციებზე.

ფრიად შთამბეჭდავია, გაზეთის თქმით, აზიური ეკონომიები, მათ შორის კორეა, რომელმაც შეძლო თავისი ეკონომიკის გაზრდა შინაგან ბაზარზე ორიენტაციით ისე, რომ აღარ აღმოჩნდა დამოკიდებული მხოლოდ თავისი ნაწარმის გასაღებაზე აშშ-ში. იაპონიასაც კი, რომელზედაც ბევრს ხელი ჰქონდა ჩაქნეული მისი ბოლოდროინდელი გასაჭირის გამო, საფიქრებელია კვლავ ბედმა გაუღიმოს ხელსაყრელ საინვესტიციო ადგილად იქცეს, ვინაიდან მოსალოდნელია მის პროდუქციაზე მოთხოვნილების ციკლური აღმავლობა მსოფლიოში. ამიტომ დაბანდებათა აზიისკენ გადანაცვლებაც მოსალოდნელია.

ამერიკული ეკონომიის ენთუზიასტები მაინც ფიქრობენ, რომ დასახელებული პროცესი იმ მასშტაბისა არაა, რომ დაბანდებები ამერიკული ეკონომიიდან სხვისკენ გადაისროლოს. მაგრამ დოლარის დაქვეითებას უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც ვარაუდობენ. მთავარი შიში ისაა, რომ დოლარის ვარდნა თვით არ გახდეს თავისი თავის დამაჩქარებელი ფაქტორი. თუ ინვესტორები დარწმუნდებიან, რომ დოლარი ქვევითკენ მიდის, კაპიტალის გადენა გაიზრდება.

„სიკვდილის რიგი“ ტექსასში

ტექსასის შტატში, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს, 2000 წელს (მაშინ გუბერნატორი იყო ჯ. ბუში) ამ სასჯელმა მოუწია 40 ადამიანს, 2001 წელს — „მხოლოდ“ 17-ს. ამჟამად სასჯელი ელის 25 წლის ნაპოლეონ ბეზლის, რომელსაც იგი ა. წ. 28 მაისს მიესაჯა მკვლელობისათვის, რომელიც მან მანქანის გატაცებისას ჩაიდინა 17 წლის ასაკში. სულ აშშ-ში სიკვდილით დასჯის განახლების შემდეგ (ამ ოცდახუთი წლის წინ) სიკვდილით დაისაჯა 777 ადამიანი, აქედან 278 — ერთ მესამედზე მეტი — დაისაჯა ტექსასში სასიკვდილო ინიექციით. წელს ტექსასში 21 ადამიანი დაისაჯა სიკვდილით. მთლიანად ამერიკაში — 28. დაგეგმილია კიდევ 11. ბეზლის საქმე ყურადღების ცენტრშია. მისი სიცოცხლის შენარჩუნებას ითხოვენ ევროკავშირი, ამნესტა ინტერნეიშენელი და სხვა ორგანიზაციები.

(„the new federalist“).

თავისუფლება თუ უსაფრთხოება?



სურათზე: გფბ-ს დირექტორი რობერტ მიულერი

ტრაგიკული კითხვა „სამოქალაქო თავისუფლება თუ სამშობლოს სამხედრო ძლიერება?“ სხვა არაერთი ერისაგან განსხვავებით, ამერიკელების წინაშე არასოდეს დამდგარა. ეს სუპერქვეყანა კარგად ათავსებს მოქალაქის ძალიან დიდ დამოუკიდებლობას სახელმწიფო აპარატისაგან, ერთის მხრივ, და ამავე სახელმწიფოს ძლიერების ინტერესებს, მეორეს მხრივ. უფრო ზუსტად: იგი თავის ძლიერებას სწორედ თავისუფალ მოქალაქეთა შეთანხმებულ ძალისხმევაზე აგებს. მაგრამ ახლა მათ წინაშე სხვა, უფრო „რბილი“ არჩევანი დადგა: „სამოქალაქო თავისუფლება თუ უსაფრთხოება?“ ანუ: „რამდენად უნდა მიეცეს თავისუფალი მოქმედების საშუალება ამერიკისვე მოქალაქეს, თუ არსებობს ეჭვი, რომ იგი ტერაქტს გეგმავს?“ ამ ძნელ კითხვას იხილავს გაზ. Financial times, რომელმაც სექტემბრის აქტის მეორე დღესვე გაიხსენა მორალური პრობლემები, რაც კაცობრიობას ამ უბედურების შედეგად დაუდგება.

FBI-ს („გამოძიების ფედერალურ ბიუროს“) მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს ჯაშუშობის საშუალებით აკონტროლოს სახალხო შეკრებები და რელიგიური თუ პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც საეჭვოდ მოეჩვენება. აშშ გენერალურმა პროკურორმა ჯონ ეშკროფტმა კურსი აიღო იმ შეზღუდვათა შერბილებაზე, რაც „გფბ“ (FBI) აგენტებს აქვთ მათი ანტიტერორისტული მუშაობის პროცესში, და ამით გამოიწვია გაფრთხილებები მოქალაქის უფლებათა დამცველი ჯგუფების მხრიდან, რომ შესაძლებელია ეროვნული უშიშროების სახელით სამოქალაქო თავისუფლების დაზარალება მოხდეს. ამ ბიუროს დირექტორს რ. მიულერს გამოცხადებული აქვს ბიუროსა და მისი მუშაობის ფართომასშტაბიანი გადასინჯვა-გადამოწმება იმ პრიორიტეტული მიზნით, რომ შეუძლებელი გახდეს 11 სექტემბრის მსგავსი ტერაქტის განმეორება.

აშშ-ში, ჩვეულებრივ, პიროვნების დანაშაულებრივი ქმედების მამტკიცებელი საბუთების წარმოდგენას თხოულობენ ხოლმე მანამდე, სანამ ეჭვმიტანილის მიმართ თვალთვალი გადაწყდებოდეს. ახალი ინსტრუქციით, ინფორმაციის გროვება პოტენციური ტერორისტის შესახებ შეიძლება მანამდე, სანამ ადგილი ექნებოდეს რაიმე ტერორისტული მოქმედების დაწყებას. რამდენადაც ბიუროს ყურადღების ცენტრში ექცევა დანაშაულის წინასწარი აღკვეთა (პროფილაქტიკა), მის მუშაკებს უფლება ექნებათ ანტიტერორისტული გამოძიება აწარმოონ ვაშინგტონიდან მიღებული წინასწარ ნებართვის გარეშე. შერბილებულია აგრეთვე შეზღუდვები წინასწარი მოკვლევის პროცედურაზე. აქამდე თუ ამ უწყების თანამშრომლებს მხოლოდ იმ მასალების შეგროვება შეეძლოთ, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გამოსაძიებელ საქმესთან, ახლა მათ შეეძლებათ მოკვლევა უფრო ფართო მასალაზე აწარმოონ. „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის“ ეროვნული ოფისის დირექტორმა ლაურა მერფიმ განაცხადა, რომ ეს სიახლეები სხვა არა არის რა, თუ არ მთავრობის დაჯილდოება მარცხისათვის: მთავრობას მარცხი მოუვიდა, როცა ტერაქტი გამოეპარა, და ახლა მას ამის გამო უფლებამოსილებებს უზრდიანო. ქალბატონმა მერფიმ განაცხადა, რომ ხიფათი ექმნება კონსტიტუციასა და უფლებათა აქტს და რომ ყოველივე ეს მეტყველებს ეშკროფტის „როგორც ჩანს, გაუმაძღარ მადაზე ახალ-ახალი უფლებების მოპოვებაში“.

მაგრამ ბუში ემხრობა ზემოხსენებულ სიახლეებს, რომელთა პირობებშიც, მისი სიტყვით, პატივი მიეგება კონსტიტუციას და არ დაირღვევა პირადი თავისუფლებები. „აუცილებელი იყო ცვლილება „გფბ“-ში. იგი დაკომპლექტებული იყო კარგი ადამიანებით, რომელთაც უყვართ ამერიკა, მაგრამ იგი ვერ გასწვდა დროის მოთხოვნებს“ — თქვა მან. მან მოუწონა რეფორმები მიულერს, რომელმაც მანამდე აღიარა, შეიძლებოდა 11 სექტემბრის ტერაქტის აცილება, თუ გამოძიების ფედერალური ბიურო მის ხელთ არსებულ ინფორმაციას სხვაგვარად შეაფასებდაო. მან ტელევიზიას უთხრა, თუმცა პირდაპირი გამაფრთხილებელი ინფორმაცია არ არსებობდა, ტერაქტის არდაშვება მაინც შეიძლებოდა, „თუ აგენტებს ბედი ექნებოდათო“. „ჩვენ ტერაქტის წინა თვეებში გვქონდა ხელთ ინფორმაციის ნამცეცები, რომლებიც, უკეთესი იქნებოდა, ერთად რომ დაგველაგებინაო“.

„ლონდონი კოკაინის მსოფლიო დედაქალაქია“

ასე უთქვამს, გაზ. „the new federalist“-ის ცნობით, ლონდონის პოლიციის ნარკოტიკების დეპარტამენტის დირექტორს ინტერვიუში. იგივე დაადასტურა მისმა კოლეგამ მ. ფულერმა, რომელმაც თქვა: „ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე მძიმე მომხმარებლები აქ, სიტიში არიანო“. გაზ. „ინდიპენდენტის“ აზრით, გაეროს მონაცემები მეტყველებს, რომ კოკაინის ბაზარი მსოფლიოში მცირდება, მაგრამ ლონდონში იგი ყვავის.

ელისაბედ მეორეს გადასახადი არ გადაჰხდება

გაერთიანებული სამეფოს დედოფალს ელისაბედ მეორეს დაუბეგრავად გადაეცემა ამ ცოტა ხნის გარდაცვლილი მისი დედის მემკვიდრეობა, რომელიც 73 მილიონ დოლარს შეადგენს. ასე ამბობს 1993 წლის კანონი, რომელიც აღიარებს, რომ საჭიროა ხელმწიფეს საშუალება ჰქონდეს თავისი საგვარეულო ქონება შემცირებისაგან დაიცვას. დედა დედოფლის ციხე-კოშკთა უმრავლესობა პრინც (უფლისწულ) ჩარლზის საკუთრებაში გადავიდა.

მუვიდოზიანი გმირის მოსაგონარი



მეორე მსოფლიო ომი ორი წლის დამთავრებული იყო, როცა მსოფლიო შეძრა მანამდე უნუხავი და გაუგონარი უსისხლო გმირობის ამბავმა. ახალგაზრდა ნორვეგიელმა არქეოლოგმა ტურ ჰეირდალმა ოთხ ამხანაგთან ერთად წყნარი ოკეანე გადაცურა ტივით — ისეთი ტივით, რომელიც არ შეიცავდა არც ერთ მილიგრამ იმგვარ მასალას, როგორსაც არ იცნობდნენ საუკუნეებისა და ათასწლეულების წინათ. მკვლევრის მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ სამხრეთ ამერიკიდან გასული ტივოსნების მიერ წყნარი ოკეანის კუნძულების დასახლება შესაძლებელი იყო. და დაამტკიცა კიდეც. 2002 წლის 18 აპრილს ჰეირდალი გარდაიცვალა 87 წლის ასაკში.

ობიექტური ინფორმაცია

ტვინის კონტროლი. საით წავა იგი?

(მეცნიერება მორალურ პროblემებს აჩენს)

ეს ეხება არა მხოლოდ კლონირებას ან გენეტურ ინჟინერიას, არამედ სხვა, ერთის შეხედვით უფრო მარტივ დარგებსაც, მათ შორის — ნეირომეცნიერებას, ანუ ტვინზე ზემოქმედებით ადამიანის გონებრივი და ემოციური ცხოვრების რეგულირების ტექნოლოგიებს. კლასიკური ექსპერიმენტია: დეპრესიაში მყოფ ქალებს მიუერთეს ყოვლად უწყინარი ელექტროდები და ტვინში გამოუწვიეს აგზნება, რომელიც სასიამოვნო გრძნობებს იწვევს. ქალები დეპრესიისგან განიკურნენ (დროებით), მაგრამ... ექსპერიმენტატორები შეუყვარდათ.

ასეთი ექსპერიმენტი უკვე მრავალი ათეული წელია აღარ განმეორებულა (ოფიციალურად მაინც). ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანის გონებასა და გრძნობაზე გარედან ზემოქმედება შეუთავსებელია მის ადამიანურ ღირსებასთან. მაგრამ ცხოველების ამგვარი „მართვის" მეთოდებზე (მათ შორის — შორიდან მართვის მეთოდებზე) მუშაობა გრძელდება. ამიტომაც ჟურნალი „the economist" ნაღვლიან კითხვას სვამს: რა გარანტიაა, რომ ვირთხებზე დამუშავებულ ტექნოლოგიებს ხვალ ადამიანებზე არ გამოიყენებენ?

ამავე ჟურნალის ცნობით, როცა მოსახლეობაში გამოკითხვას ჩაატარებთ, მეცნიერების რომელი დარგისაგანაა მოსალოდნელი ყველაზე დიდი ხიფათი ადამიანის ბუნებისათვის, უმრავლესობა გიპასუხებთ, რომ ყველაზე უფრო საშიშია ექსპერიმენტები გენეტიკის დარგში. ნეირობიოლოგიის ძალიან ცოტანი თუ დაგისახელებენ. ეს შეცდომაა. სინამდვილეში ეს დარგი გენეტიკაზე უფრო სახიფათოა. ჯერ ერთი, ადამიანთა ფანტაზია ძალიან აზვიადებს იმ ზიანს, რომელიც უპასუხისმგებლო გენეტიკოსმა შეიძლება მიაყენოს ღვთის მიერ გაჩენილი კაცობრიობის ბუნებას. მეორეც, ისინი ვერ ითვალისწინებენ, რომ გულ-გონების მანიპულირების ხიფათი უფრო უშუალოა: მისი განვითარება უფრო სწრაფი ტემპით ხდება. ასე, მაგალითად, არა უგვიანეს ათი წლისა მეცნიერები, ალბათ, არა მხოლოდ მიხვდებიან ადამიანის ტვინის სკანირებით, იგი სულიერი ავადმყოფობისკენ უფრო მიდრეკილია თუ ჯანმრთელობისკენ, დეპრესიისკენ თუ ძალადობისკენ, არამედ იმასაც შეძლებენ (ნერვული იმპლანტაციით), რომ გაზარდონ პაციენტის გონიერების ხარისხი ან დაუჩქარონ რეფლექსები.

ფარმაკოლოგია ეძებს ისეთ მოლეკულებს, რომლითაც ზემოქმედება შეეძლება ტვინთან დაკავშირებულ დაავადებებზე, დამბლით დაწყებული და ზედმეტი მორცხვობით დამთავრებული.

ორივე დარგი — გენეტიკაც და ნეირომეცნიერებაც — მჭიდროდაა გადაჯაჭვული, ერთის მხრივ, მორალურ და, მეორეს მხრივ, იურიდიულ პრობლემებთან. ამიტომ საქმის ამ მხარეზე მუშაობა ფინანსდება ევროპისა და აშშ-ის არაერთი სამეცნიერო ცენტრის მიერ. რა იქნება, მაგალითად, თუ ადამიანთა თანდ ყოლილი თვისებების გაუმჯობესება მოვინდომეთ და ადამიანთა წინასწარშეკვეთილი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანა დავიწყეთ? აუარებელ კონკრეტულ საშიშროებასთან ერთად (მაგალითად, ვიღაცამ მოინდომა მოთხოვნილებაშემცირებული და ურთიერთმიმსგავსებული ადამიანების ახალი სახეობის — მომავალი „მანების" გამოყვანა, ვიღაცამ ახალ ჯიშს ინფექციისადმი მდგრადობა გაუზარდა, მაგრამ ამისთვის ინდივიდების ნიველირება, მათი ურთიერთგანმასხვავებელი ხასიათობრივი თვისებების წაშლა დასჭირდა), გენეტიკის წინსვლის პერსპექტივა სვამს ზოგად კითხვასაც: ვინ იყოს იმის ამრჩევი (გადამწყვეტი), რა „შეკვეთა" მიეცეს გენეტიკოსს (ანუ როგორი „ჯიში" ადამიანებისა გამოვაყვანინოთ მას) ან ვის აქვს (და საიდან აქვს) იმის უფლება, რომ ღვთისა და ბუნების საქმეში ჩაერიოს (თავისი „მოკლე ჭკუით)? რა პასუხს ვაძლევთ ჩვენი „შეკვეთით" შექმნილ, დღეს უკვე ზრდადამთავრებულ ახალგაზრდას, რომელსაც, ეგებ, ერჩივნა, ჯანი ნაკლები ჰქონოდა, ხოლო პოეტური ნიჭი — მეტი? რაც შეეხება გრძნობა-გონების მანიპულირებას, აქ დღეს კითხვების ორი სახეობა დგას. პირველი: რაკი მეცნიერებამ უკვე გამოიკვლია (და თანდათანობით უფრო და უფრო დეტალურად იკვლევს), როგორაა განაწილებული ფუნქციები თავის ტვინში და როგორ შეიძლება მათზე ზემოქმედება, გვაქვს თუ არა უფლება, ეს ცოდნა იმისთვის გამოვიყენოთ, რომ ადამიანს იმთავითვე, — თუნდა სოციალურად მიუღებელი საქციელის ჩადენამდე, თუნდ ბავშვობაშივე — ფარმაკოლოგიური საშუალებით ან სხვა რამ წესით დავუთრგუნოთ ის მავნე ტენდენცია, რომელიც შევატყეთ, და სოციალურად უფრო მისაღებ გზაზე წავიყვანოთ? ამ კითხვის პასუხი საზოგადოების თვალშიც და კანონის თვალშიც, უთუოდ, უარყოფითი უფრო იქნება, ვიდრე დადებითი. მეორე: დაუშვას თუ არ დაუშვას კანონმა ტვინზე ზემოქმედების ისეთ საშუალებათა გავრცელება, რომლებიც ადამიანს „გონებაზე მოიყვანენ", შიშებს მოუხსნიან, დაამშვიდებენ, ენერგიას მისცემენ, გააძლიერებენ, სითამამეს მოუმატებენ და ა. შ.? დადებითი პასუხის მომხრენი იმას დაიმოწმებენ, რომ ამგვარი „ფარმაკოლოგიური საშუალებები" კაცობრიობის ცხოვრებას იმთავითვე მოსდევს, თუნდაც ალკოჰოლის სახით. უარყოფითი პასუხის მომხრენი კი იმ საკმაოდ მძიმე გარემოებას დაიმოწმებენ (მრავალ სხვათა გარდა), რომ ამერიკაში 6-11 წლის ასაკის ბავშვთა 7% იღებს წამლებს „ჰიპერაქტიურობის" (ზედმეტი აქტიურობის) წინააღმდეგ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ადამიანთა დიდი მასა დღეს განწყობილია, რომ მიესალმოს ყველაფერს და მოითხოვოს ყველაფერი, „რაც კი მათ და მათს შვილებს უფრო ჯანმრთელსა და ბედნიერს გახდის": იურიდიული სიძნელეები და, მით უმეტეს, ფილოსოფიური სიძნელეები — სად იწყება და სად თავდება ადამიანის ძირითადი ადამიანური თვისება, სახელდობრ, ის, რომ მას ნების თავისუფლება აქვს? — მას ნაკლებად აწუხებს, ვიდრე უშუალო სადღეისო ამოცანა.

რას აძლევს რუსეთს „საბაზრო ეკონომიკის" ქვეყნის სტატუსი

ამ ცოტა ხნის წინ ევროკომისიის თავმჯდომარემ რომანო პროდიმ (იტალია) განაცხადა, რომ რუსეთი აღიარებულია „საბაზრო ეკონომიად". ეს ნაბიჯი, რომელსაც რუსები 18 თვის მანძილზე ითხოვდნენ და იხვეწებოდნენ, მან გადადგა ერთი თვით ადრე მანამდე, სანამ ამასვე იზამდნენ ამერიკელები, და ამით „გადაუსწრო" ამ უკანასკნელებს. ევროკომისიის გადაწყვეტილება, თავისი შედეგებითურთ, ძალაში შევა სექტემბრიდან. მაგრამ რაა მასში სიმბოლური, ანუ მარტოოდენ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი, და რაა რეალური, ანუ ეკონომიკურად სარგებლობის მომტანი რუსეთისათვის?

გაზეთ „financial times"-ის აზრით, ამ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს:

იმ წესებთან შედარებით, რომლებითაც დღესდღეობით რეგულირდება აშშ-სა და ევროსაბჭოს ქვეყნების კომპანიათა მიერ თავისი რუსი მეტოქეებისათვის პრეტენზიების წაყენება ამ უკანასკნელთა მხრიდან დემპინგის გამოყენების (ანუ საქონლის დაბალ ფასებში გაყიდვის) გამო, რუსებისთვის ახალი წესები უკეთესია. სექტემბრიდან ამგვარ დავათა შემთხვევაში უფრო იქნება გათვალისწინებული რუსეთის მხარის რიცხობრივი მონაცემები რეალური ვითარების შესახებ. თუმცა პუტინს გაცხადებული აქვს ცოტა ხნის წინ, რომ ამგვარი შემოდავებებით რუსეთი 1,5 მილიარდ დოლარს ზარალობს, გაზეთის ანგარიშით, ეს რიცხვი ძალიან გაზვიადებულია. საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარი დავები შეუდარებლად უფრო იშვიათია, ვიდრე ასეთი დიდი თანხის შექმნას დასჭირდებოდა.

მიუხედავად ამისა — ანუ მიუხედავად რუსეთისათვის ამ სიახლის ეკონომიკური შედეგის სიმცირისა — გაზეთი მაინც ფიქრობს, რომ ეს რუსეთისთვის დიდი მოვლენაა პოლიტიკურად. ერთი, რომ „არასაბაზრო" ეკონომიად დარჩენა რუსეთისთვის დამამცირებელია, მით უმეტეს, რომ არა მხოლოდ ბალტიისპირელებს, არამედ ყაზახეთსაც კი ზემოხსენებული სანატრელი სტატუსი უკვე მინიჭებული აქვთ. მეორეც, რუსეთის ეს გაბედნიერება აღმოჩნდა ერთადერთი მეგობრული ჟესტი მის მიმართ, რომლის გაკეთებაც შეძლო ევროკავშირის ამასწინანდელმა „სამიტმა" (შეკრებამ უმაღლეს დონეზე), სადაც ჩიხური ვითარება შეიქმნა კალინინგრადის რუსული ანკლავის მომავლის განხილვასთან დაკავშირებით. მესამეც, დასავლეთისთვის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას ის მნიშვნელობაც ჰქონდა და აქვს, რომ იგი „ნდობის" ჟესტია მისი მხრიდან ისეთ დროს, როცა ვაშინგტონი ყველანაირად ცდილობს, თავის გარიგებებს რუსეთთან ბირთვული არსენალების შემცირების შესახებ მისცეს „ჯენტლმენური შეთანხმებისა" და ხელის ჩამორთმევის სახე, და არა დოკუმენტურად გაფორმებული ხელშეკრულებების სახე. „ნდობა" ამ შემთხვევაში იმაში გამოიხატება, რომ რუსეთს „საბაზრო ეკონომიად" აღიარებენ მანამდე, სანამ იგი გაათანაბრებდეს ენერგიის საგარეო და საშინაო ფასებს, რომელთა სხვადასხვაობაც (შიდა ბაზარზე ფასები უფრო დაბალია), ფაქტობრივად, ნიშნავს რუსი მეწარმეების (ანუ დასავლეთის კონკურენტების) სუბსიდირებას 5 მილიარდი დოლარით წელიწადში.

გორბაჩოვი ცდილობს ევროკავშირთან რუსეთის კავშირის გაბმას

იგი ურჩევს რუსეთს, ეძებოს „ასოციირებული (მიერთებული) წევრის" სტატუსი ამ გაერთიანებასთან იმის იმედით, რომ ამით მომავალში მის სრულ წევრობას მოიპოვებს. იგი მიჰმართავს რუსეთს და ევროკავშირს წინადადებით, მოხაზონ სამომავლოდ ურთიერთობის სქემა, და, როგორც გადაკვრით მიგვანიშნებს გაზეთი „ფაინენშელ ტაიმსი", იმედი აქვს, რომ მისი წარსული „დამსახურება" გერმანიის გაერთიანების საქმეში მას ევროპელ ადრესატთა ყურადღებას მოუპოვებს. გორბაჩოვი ამ ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და, რუსეთისა და ნატოს უკვე განხორციელებული შეკავშირების შუქში, ამასაც შესაძლებლად რაცხს. მისი წინადადება, პრაქტიკულად, იმას გულისხმობს, რომ რუსეთმა „მონაწილეობა მიიღოს" ევროკავშირის „მსჯელობისა და გადაწყვეტილებათა მიღების მექანზმებში". გორბაჩოვის ეს წინადადებები მოჰყვა რუსეთისა და ევროკავშირის ლიდერების შეხვედრას, სადაც ძირითადი თემა იყო რუსული ანკლავის — კალინინგრადის (კენიგსბერგის) — მომავალი, რომელიც 2004 წლიდან (როცა პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები უკვე ევროკავშირში იქნებიან) მთლიანად ამ ქვეყნების ტერიტორიები იქნება გარშემორტყმული. რუსეთის მიზანია იქ მისასვლელად თავის მოქალაქეებს უვიზო რეჟიმი მოუპოვოს.

(„ფაინენშელ ტაიმსი")

რით აინტერესებს ამერიკას რუსეთი?

ამ თითქოსდა უცნაური ქვესათაურით აანალიზებს „the economist"-ის ერთ-ერთი ავტორი რუსულ-ამერიკულ ურთიერთობათა რამდენსამე ძირითად ხაზს, რომლებიც არ იცვლება ან ძალიან ნელა იცვლება დროისდა კვალად. „ციკი ომი" რომ დამთავრდა, რუსეთი ამერიკისთვის მხოლოდ ერთი რამით იყო საინტერესო — იმით, რომ ბირთვული არსენალი ჰქონდა. არსენალები შეიკვეცა და რუსეთის მნიშვნელობაც, ბუნებრივია, უნდა შეკვეცილიყო, მით უმეტეს, რომ ეს უზარმაზარი ქვეყანა სიმდიდრით, დაახლოებით, პორტუგალიის ტოლია. თუმცა რუსეთის რეგიონული ინტერესები გადაჭიმულია ბალტიიდან ბერინგის სრუტემდე და სამხრეთი ზღვებიდან ყინულოვან ოკეანემდე, იგი, ლოგიკურად, მაინც მეორე და მესამე რანგის ქვეყანად უნდა ქცეულიყო და ეს პერსპექტივა, ბირთვული იარაღის ფაქტორი რომ არა, მართლაც მთელი სისრულით განხორციელდებოდა. ვინ უნდა დაიკავოს რუსეთის ტრადიციული ადგილი, როგორც №1 მეტოქისა? აღმავალმა ჩინეთმა ან მდიდარმა ევროპამ. ჩინეთი რომ აქეთ მიდის, ეს ყველამ იცოდა და ახლაც იცის. რაც შეეხება ევროპას, რომელსაც იგივე ღირებულებები აქვს, რაც ამერიკას, და, ჯამურად. არანაკლები პოტენციალი გააჩნია, მისი ამგვარი პერსპექტივაც არანაკლებ „შთამბეჭდავი" (და შემაშფოთებელი) იყო ბუში-მამის გუნდისათვის, ვიდრე ჩინეთისა. მართლაც, თუ ეკონომიკურად ერთიან ევროპას ერთიანი პოლიტიკა ექნება, გერმანიის მეთაურობით, მაშინ მას რეალურად შეუძლია მიაღწიოს ამერიკელთა მსოფლიო მეტოქეპარტნიორის სტატუსს.

დღეს, ძე-ბუშს რუსეთი სხვა რამეებითაც აინტერესებს, გარდა ბირთვული ფაქტორისა. ევროპელები, გარდა ბლეირისა, რომელსაც ბუში ლამის საპატრო ამერიკელად თვლის, რუსეთთან მიმართებაში დიდ როლს არ თამაშობენ. რუსულ-ამერიკული ურთიერთობები კარგია, ამერიკულ-ევროპული (რბილად რომ ვთქვათ) — გრილი. (ამ თემაზე ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ. რედ.). ხომ არ ნიშნავს ეს, რომ, როგორც ზოგნი ფიქრობენ, „რუსებს დღეს უფრო უყვართ ამერიკა, ვიდრე ევროპელებს"?

არა, არ ნიშნავს. და ამ კითხვის სრული პასუხისთვის უნდა გავითვალისწინოთ, რა უნდათ ამერიკელებს რუსეთისაგან.

ზრდადი თანადგომას უცხადებს გუშის პოლიტიკას

პირველი. მათ უნდათ ბირთვული უსაფრთხოება. უფრო კონკრეტულად: მათ უნდათ, რუსეთმა თავისი ბირთვული მასალები არ მისცეს ტერორისტებს და ტერორისტ ქვეყნებს. ევროპელები ამას არ იზამენ, რუსეთს კი მიფერება უნდა, თუ გინდათ, რომ ეს არ ქნას (ცხადია, ფაქტორია ისიც, რომ რუსეთმა იცის, რა მოელის თუ ამას იზამს).

მეორე. ამერიკას უნდა — არც მეტი, არც ნაკლები, — რუსეთის ნავთობი, რათა დამოკიდებული არ იყოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე (დავძენთ: და რათა შეინახოს ამ რეგიონის ნავთობი იმ დროს, როცა რუსეთის მარაგის კლება მოხდება. რედ.).

მესამე. მას უნდა რუსეთის თანადგომა ალ-ყაიდას წინააღმდეგ (დავძენთ: თანადგომა ანუ წინააღმდეგობის არგაწევა და ვერგაწევა ამერიკელების შუააზიური ოპერაციის პროცესში. რედ.).

ამგვარად, რუსეთის ესოდენი დაფასება აშშ-ის მიერ დიდი ვერაფერი კომპლიმენტია პუტინისთვის. „იგი ასახავს, ამასთანავე, რუსეთის სისუსტეებს და ამერიკელების ერთგვარ ფრუსტრაციას (იმედგაცრუებას), (უფრო ზუსტად — ანგარიშგაუწევლობას. რედ.) ევროპელთა მიმართ". ეს მცირედი ოპორტუნიზმი ბუშისა რუსეთთან ურთიერთობაში დასაშვებია. მაგრამ უფრო ხანგრძლივი კავშირები ემყარება მხოლოდ ნდობას... ამას კი ეს არადჩაგდებული ევროპელები ბრძანების გარეშეც აკეთებენ, მით უმეტეს — ხელშეკრულების გარეშეც.

ობიექტური ინფორმაცია

„ევროპა გულგრილია ბუშისადმი, მაგრამ რაში ედარდება ეს ბუშს?"

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს „მასმედია", ანუ ინფორმაციის, დეზინფორმაციისა და ინფორმაციის დამალვის მთელი აწყობილი სისტემა ერთსულოვნად დუმს თემაზე, რომელიც დასავლეთისთვის დღეს ერთ-ერთი მთავარია და მკითხველ-მაყურებლისათვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო — ამერიკა-ევროპის ურთიერთობაზე. მკითხველი ნუ გვიწყენს, თუ-მას, მცირე შემოკლებით, მივაწოდებთ, წმინდა ინფორმაციული მიზნით, მასალას ამ თემაზე THE ECONOMIST-იდან, რომელიც (შევახსენებთ მკითხველს) მსოფლიოში გამორჩეულია თავისი აკადემიური დონითაც და ოგიექტურობითაც.

დემონსტრაციები ლოზუნგებით „ბუშო, წადი სახლში" და „არ გვინდა ომის გამჩაღებლები", რომელიც აშშ პრეზიდენტს დაჰხვდა თავის პირველი ვიზიტისას ევროპის ქვეყნებში მას შემდეგ, რაც „ტერორიზმთან ომი" დაიწყო, ამ ქვეყნებისთვის არც ახალი იყო და არც მოულოდნელი. სხვა დროსაც აშშ პრეზიდენტებს

ანტიამერიკული დემონსტრაცია. სიტყვებში God Bless America (ღმერთმა აკურთხოს ამერიკა) გადახაზულია „B".

არაერთხელ დაჰხვედრიან ამავე განწყობით. ამჯერად ახალი ის იყო, რომ ამ ლოზუნგებში მხოლოდ ქუჩის აქტივისტების განწყობილება კი არ აისახა, არამედ მთავრობებისა და ამომრჩევლებისაც. ევროპელ პოლიტიკოსებს არ მოსწონთ, რომ გასულ იანვარში ბუშმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში საზოგადოებას შესთავაზა „ბოროტების ღერძის" ცნება, რომელშიც გააერთიანა ირანი, ერაყი და ჩრდ. კორეა. მათ მიაჩნიათ, რომ იგი მეტისმეტად ცოტას მუშაობს პალესტინაში მშვიდობის დამყარებისათვის და მეტისმეტად ბევრს — სადამ ჰუსეინის გადაგდებისათვის. ოკეანის გაღმელ-გამოღმელებში ისეთი მეკავე განწყობილება დამყარდა ერთმანეთის მიმართ, რომ ტონი ბლეირმა საჭიროდ ჩათვალა, წუხილი გამოეთქვა ევროპელებს „ამერიკელების უპირატესობა ჰშურთო". თავის ერთ-ერთ ამოცანად მან დაასახელა ის, რომ „უმეოროს და უმეოროს ხალხს: ნუ გახლეჩთ ამერიკასა და ევროპას, რადგან ეს მხოლოდ ბოროტთათვის იქნება სასიამოვნო".

ევროპელებს, ჩვეულებრივ, ამერიკელ დემოკრატებთან უფრო უადვილდებათ ურთიერთობა, ვიდრე რესპუბლიკელებთან. კლინტონი მათ უფრო მოსწონდათ, ვიდრე ბუში. მის უბრალო მანერებში ისინი გონების სიმარტივეს ხედავენ. არ მოსწონთ არც ის, რომ ბუში თავისი გზით მიდის (მათ უკითხავად), და არც ის, საით მიდის იგი. მან უარი თქვა კიოტოს ხელშეკრულებაზე მსოფლიო დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, მან გადახაზა ხელშეკრულება ბალისტიკური რაკეტების შეზღუდვის თაობაზე, უარი თქვა საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოზე და მიიღო პროტექციონისტული ზომები ამერიკელ ფოლადის მწარმოებელთა სასარგებლოდ თავისი საარჩევნო კამპანიისათვის დაფინანსების მიღებისა და ხმების მოზიდვის მიზნით. ასეთი ნაბიჯები გამომწვევად გამოიყურება ასეთ დროს, როცა ევროპელებს საკუთარი საზრუნავი აქვთ, რომ მსოფლიოში თავისი ადგილი დაიმკვიდრონ. აბა რა აზრი ჰქონდაო ჩვენს ხლებას ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ და ნატოს წესდების მე-5 მუხლის შეხსენებას (ამ მუხლით ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა ითვლება მის ყველა წევრზე თავდასხმად, რაც მათ ყველას ომის მონაწილედ ხდის), თუკი ამერიკელებმა ავღანეთში ომს, ფაქტობრივად, თითქმის მარტონი, უჩვენოდ აპირებდნენ?

ევროპელებისთვის ვერაფერი ნუგეშია ის, რომ ამ კითხვის პასუხი თვითონვე იციან. ბოლო დროის ომთა სერიამ მკაფიოდ გვიჩვენა, რა დიდი სხვაობაა ამერიკისა და ევროპული სახელმწიფოების ძალას შორის. ფრანგი პრემიერ-მინისტრისა არ იყოს, აშშ დღეს უკვე „ჰიპერძალაა" (და არა სუპერძალა). იგი ზრდილობიანად ისმენს თავისი ძველი ევროპელი მოკავშირეების აზრს, მაგრამ მისი ყურადღების ცენტრშია ახალი საშიშროებები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლასაც იგი ამჯერად მარტო ფიქრობს. მოსალოდნელია, რომ ამერიკელები მოისმენენ ევროპელთა ეჭვებს იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორია სადამ ჰუსეინის გადაგდება, მაგრამ ყურადღებას არ მიაქცევენ ამ ეჭვებს.

ამიტომაც ევროპელებს დღეს ცოტა მეტი შური აქვთ ამერიკისა, ვიდრე აქამდე ჰქონიათ. მაგრამ მათი გაღიზიანების შინაარსი ყველა ქვეყანაში ერთგვარი როდია. საფრანგეთში — რომელიც ამ გაღიზიანების სულიერი სამშობლოა, — ამერიკას ხედავენ როგორც მეტოქეს უნივერსალური იდეალების ქადაგებაში და ამ მხრივ ამერიკული გავლენის შეზღუდვას ესწრაფიან (გავიხსენოთ, რომ საფრანგეთი ტრადიციულად თვლის თავს მსოფლიოში თავისუფლების მედროშედ. ამიტომაც ჰიმნად აქვს რევოლუციური სიმღერა „მარსელიეზა". რედ). ამ ერთი თვის წინ „le monde"-მა აღნიშნა, რომ ევროპელები ამერიკელებს უყურებენ როგორც „კადნიერებს, ჩხუბისთავებსა და კრიტიკისადმი ყრუს" პოლიტიკის სფეროში, და დაგმო „ამერიკული მესიანიზმის" ახალი პერიოდი, რომელიც მისი სიყვით იწყება.

ბრიტანეთში ანტიამერიკანიზმი უფრო რბილია, თუმცა ბლეირის განცხადება, „შემაკავებელ გავლენას ვახდენ ბუშზეო", ბევრნი ბლეირის ზედმეტი თავდაჯერების გამოხატულებად თვლიან. გერმანიის კანცლერმა შროდერმა ტერაქტის შემდეგ ამერიკელებს „შეუზღუდველი სოლიდარობა" გამოუცხადა. მიუხედავად ამისა, გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ხუთ გერმანელში ერთი თუ უყურებს ბუშს მომგებიან შუქში. გერმანელთა განწყობილებას უკეთ გამოხატავს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფიშერის სიტყვები, რომელიც მან თქვა ბუშის მიერ „ბოროტების ღერძის" ხსენების შემდეგ: „რაც უნდ დიდი იყოს ჩვენი ზომებისა და წონების სხვაობა, თავისუფალ დემოკრატიათა პარტნერობა მათს კავშირში არ უნდა დაიყვანებოდეს მორჩილებაზე. კავშირის პარტნერები არ არიან სატელიტები".

ამ სამი დიდი ევროპული სახელმწიფოს გარეთ, ევროპის დანარჩენ ქვეყნებში განწყობილების ნიუანსები კიდევ ეფრო მეტია. იტალიისა და ესპანეთის მთავრობები ცალსახად დაუთბნენ ბუშს 11.IX-ის ტერაქტის შემდეგ. იტალიის პრემიერი ბერლუსკონი სიამოვნებით ემიჯნება ამ მხრივ თავის უფრო გაღიზიანებად ევროპელ კოლეგებს. გავრცელებული აზრი იტალიაში, უფრო, მცურავია: რიგითი იტალიელი სიამოვნებით მოიხმარს ამერიკულ კულტურას, მაგრამ ნარევი დამოკიდებულება აქვს მისი ძალისადმი. ძველი მემარცხენეები კვლავ მყარად ანტიამერიკული განწყობით არიან, ცენტრისტი მემარცხენეები და კათოლიკე ტრადიციონალისტების დიდი ნაწილი მხარს უჭერდნენ ამერიკელთა მიერ კოსოვოს დაბომბვას, მაგრამ ნაკლებ უჭერენ ახლა მხარს ომს ტერორიზმის წინააღმდეგ. ყველას გასაკვირად, ერთმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ იტალიელთა ერთი მესამედი 11 სექტემბრის აქტისთვის „ერთგვარ გამართლებასაც" ხედავს.

ესპანეთის კონსერვატორ პრემიერ-მინისტრს აზნარს თვით აქვს გამოცდილი თავდასხმა ბასკი ტერორისტების მხრიდან და ამიტომ უკან მოუხედავად მხარს უჭერს ბუშისეულ ომს. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ანტიამერიკული გრძნობები ესპანეთშიც არსებობს — ნაწილობრივ, სამხრეთ აფრიკის მიმართ ამერიკელთა „იპერიალისტური" პოზიციის გამო. უფრო მცირე ქვეყნებში განწყობა ნაირნაირია. დანიის მომარჯვენო პრემიერ-მინისტრმა, აშშ-დან დაბრუნებულმა, განაცხადა „ჩვენი ურთიერთობა უკეთესია, ვიდრე ოდესმე ყოფილა II მსოფლიო ომის შემდეგო". „ფოლადის იმპორტზე დამატებითი ტარიფის შესახებ რალას იტყვითო?" „დანია ფოლადს არ აწარმოებს" — უპასუხა პრემიერმა. შვედეთის მომარცხენო მთავრობა, პირიქით, ენთუზიაზმით ემხრობა ომს ტერორიზმის წინააღმდეგ. ნორვეგიის მომარჯვენო მთავრობა კრიტიკულად უყურებს ალ-ყაიდელი ტყვეებისადმი მოპყრობას და ბუშის მოქმედებას პალესტინის მიმართ.

ბერძნების უარყოფითი განწყობა ამერიკისადმი მოდის ჯერ კიდევ 1967-74 წლებიდან, როცა აშშ მხარს უჭერდა „შავი პოლკოვნიკების" რეჟიმს, და იგი განახლდა კოსოვოს ბომბვისას, რომლის წინააღმდეგი იყო ბერძნების 90%. 11.IX-ის შემდეგ ბერძენთა 30%-მა განაცხადა, რომ ტერაქტს „რაღაცა გამართლება" ჰქონდა.

ყველაზე ნაკლებ კრიტიკულნი, ალბათ, „ბოროტების იმპერიის" ყოფილი მაცხოვრებელნი არიან (ესეც იმგვარი გამოთქმა გახლავთ, რომელმაც თავის დროზე დიდი მხიარულება გამოიწვია ევროპელებში, გარდა იმ უბედური ადამიანებისა, ვინც იმ იმპერიას ფეხქვეშ ჰყავდა). პოლონეთში, რომელიც დღეს ნატოს წევრობით ამაყობს, ამერიკის კრიტიკა ხმებს ვერ მოგიტანთ. პოლონელთა 70% აშშ-ს თავის „სასიცოცხლო მოკავშირედ" თვლის. აღმოსავლეთ ევროპაშიც იგივე განწყობილებაა. გარდა ჩეხებისა, რომელთაც პროამერიკული ენთუზიაზმი ცოტა გაუნელდათ.

.....

იმ 10 წელიწადში, რაც კომუნიზმის დაცემისგან გვაშორებს, რიგით რუსებს დიდწილად გაუნელდათ ამერიკის სიყვარული. 1991 წელს რუსების 70% ამბობდა, რომ ამერიკას დადებითად ეკიდება. დღეს ეს თბილი გრძნობები 50%-სლა აქვს. მაშინ 8% იყო ამერიკის მოწინააღმდეგე, დღეს — 45%.

დარჩა „ღმერთო, ნაკლები იყოს ამერიკა", „არ გვინდა ამდენი ამერიკა").

ნახაზი I. ოკეანის აქეთ-იქით. პირველი კითხვა: როგორ აფასებთ ბუშს? (ანტი-პრო).

მეორე კითხვა: ვის დაარტყეს 11.IX ტერაქტით? (დასავლეთს-აშშს).



Waning Teutonic love
How Germans feel about the US, %

	2002	1993
How do you rate the relationship between the US and Germany?		
US plays the dominant role	73	53
Now we're equal partners	20	46
Is America a guarantor of peace and security in the world?		
Yes	42	53
No	54	46

Source: Der Spiegel

ნახაზი II. „ტევტონური ურთიერთსიყვარული ჭკნება".

პირველი კითხვა. როგორ აფასებთ აშშ-სა და გერმანიის ურთიერთობას?

პასუხის ვარიანტები. 1. აშშ თამაშობს გაბატონებულ როლს.

2. ჩვენ თანასწორი პარტნერები ვართ.

მეორე კითხვა. არის ამერიკა მსოფლიოში მშვიდობის გარანტი?

პასუხის ვარიანტები. 1. დიახ.

2. არა.



ნახაზი III. დათვის თვალით. როგორ ეკიდებიან რუსები აშშ-ს.

პირველი კითხვა: ამერიკელები რუსების მოკავშირენი არიან მსოფლიო სცენაზე თუ მეტოქენი? (მეტოქენი-მოკავშირენი).

მეორე კითხვა: ნატო დამოუკიდებელი ორგანიზაციაა თუ აშშ-სგან კონტროლდება? (კონტროლდება-დამოუკიდებელია).

მესამე კითხვა. დაიჭერენ თუ არა ამერიკელები ბინ ლადენს (არა-ჰო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტური ინფორმაცია

რა იყო მთავარი ბუშისა და პუტინის მოლაპარაკებაში?

თუმცა მასმედიამ ამ ორთა 23-24 მაისის შეხვედრის გაშუქებაში თავისი პროპაგანდისტული ყურადღება ბირთვული იარაღის შესახებ დადებულ არც თუ დიდმნიშვნელოვან შეთანხმებას დაუთმო, მან ამით არ გააუქმა და ვერ დაჩრილა ის მღელვარე კითხვა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკით დაინტერესებულ მკითხველს იმთავითვე ჰქონდა და აქვს: როგორ მოილაპარაკეს — და მოილაპარაკეს თუ არა — ნავთობზე? ხოლო თუ მოილაპარაკეს, რომელ ნავთობზე მოილაპარაკეს? იმაზე, რომელიც ამერიკელებმა, რეალურად, ამჟამად ხელთ აქვთ და რომლის გამოტარებასაც კავკასიაზე აპირებენ? თუ, უფრო, იმაზე, რომელიც ჯერ, დიდი პოლიტიკის კონტექსტში, ხეირიანად არც კი ხსენებულა, მაგრამ ახლა კი, თუ „გამოჟონილ" ინფორმაციას დავუჯერებთ, უკვე ყურადღების ფოკუსში ექცევა? რუსეთის ყოფილი სამფლობელოებისთვის განკუთვნილი პროპაგანდა გულმოდგინედ „უცურებს" ყოფილ კოლონიელ დამკვირვებელს იმ აზრს, რომ საქმე ამ ორთაგან პირველს ეხება და რომ ამ მოლაპარაკებაში რუსეთმა გაიმარჯვა. სახელდობრ, იმას მიაღწია, რომ კასპიისა და შუა აზიის ნავთი „ნაწილობრივ" (ან: ნახევრად) ამერკავკასიაზე გაივლის, ნაწილობრივ კი ჩრდილო კავკასიასა და ნოვოროსიისკზეო. ასეა მართლა? არა, ასე არ გახლავთ. როგორია ნამდვილი ვითარება, ამაზე, სხვათა შორის, კარგა პრორუსული EIR-იც (exentive intelligence review) შემდეგს გვაცნობებს.

მხარეთა 24 მაისის შეთანხმება (ტექსტი ციტირებულია) აღნიშნავს ორმხრივი თანამშრომლობის ნაყოფიერებას მომავალი მსოფლიოსთვის და აფიქსირებს მხარეთა განზრახვას, რომ ერთობლივად იშრომონ ენერგეტიკის სექტორში ნავთობის „ძიების, წარმოების, რაფინირების, ტრანსპორტირების და მარკეტინგის" მიმართულებით, აგრეთვე ერთობლივი პროექტების განხორციელების მიმართულებით, მათ შორის — მესამე ქვეყნების ტერიტორიაზეც. ლაპარაკია, კონკრეტულად, ყველა პროცესის ტექნოლოგიებში თანამშრომლობაზე, რაც კი ნავთობს ეხება, და სხვა (არანავთობის) ენერგეტიკულ რესურსთა ძებნაზე, შექმნაზე და გამოყენებაზე. ბუნებრივად იმადება კითხვა: რომელი რომელს „აცურებს" ამ ორში? რუსეთის მხრიდან მისი ჩანაფიქრის ერთი შესაძლო ვარიანტი ასეთია: იგი ჩასაფრებულია და ელის, როდის შეექმნებათ ამერიკელებს მძიმე ამოცანები სხვაგან და ამით შესუსტდება მათი შესაძლებლობები რუსეთთან ახლოს მდებარე ამ რეგიონში. მანამდე კი იგი სარგებლობს ამერიკელთა უხვი ტექნოლოგიური და ფინანსური დახმარებით ამ რეგიონში, ვითარდება, მდიდრდება და თავის სანავთობე ინფრასტრუქტურას ქმნის. რუსეთის მეორე, ლიბერალური

ვარიანტი სცენარისა ასეთია: რუსეთი დასავლეთს არ უსაფრდება. პირიქით, იდეალურ მეგობრობას ამყარებს მასთან. მისი დახმარებით ზრდის თავის ნავთობის მოპოვებას და რადიკალურად თრგუნავს მსოფლიო ბაზარში „ოპეკს" — „ნავთობის გამტანი ქვეყნების ორგანიზაციას" — თავისი კონკურენციით. ამ სცენარის განვითარების შემდგომ სტადიებზე რუსეთი დასავლეთთან ერთად ქმნის მყარ ორგანიზაციას, — ამჯერად უკვე მკაფიო გლობალისტური მიმართულებისას — და საქმე თანდათან იქითკენ მიდის, რომ მსოფლიოს სანავთობო რესურსები მისი კონტროლის ქვეშ ხვდება. ჩრდილო ქვეყნები, რუსეთის ჩათვლით, განუყოფლად ბატონდებიან სამხრეთისაზე ამ სფეროში. ამ გეგმის რეალობას ერთგვარად უშლის ხელს ციფრები — სახელდობრ, სპარსეთის ყურის ქვეყნებს ნავთობის მსოფლიო მარაგის 60% უჭირავთ, რუსეთს კი მხოლოდ 12%. მაგრამ პრინციპი ამ გეგმისა ნათელია.

ამერიკელებს, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესი აქვთ და მისი ყველაზე თვალსაჩინო ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ არაფერი გაატანონ ირანს და ნავთობი არ გაატარონ არც ირანსა და არც რუსეთზე, რადგან არც ერთი ამ ორთაგანი მათთვის სანდო არ არის.

რუსეთის გეგმის მეორე, „ლიბერალური" ვარიანტის ამგვარი იდილიური სურათი ნავთობის მეწარმეებს ეკუთვნის და, ამგვარად, გასაგებია, რატომ არის მასში ყურადღება კონცენტრირებული ეკონომიკურ — და არა სტრატეგიულ — მხარეზე. თუ ამ უკანასკნელ ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ზოგადი სურათი, მის მთლიანობაში, ასე ჩანს: დასავლეთი არა მხოლოდ იყენებს რუსეთის სანავთობო რესურსებს (და არა კასპიისა და შუა აზიისას), არამედ ამ გამოყენების საშუალებით ინახავს (აკონსერვებს), მეტ-ნაკლებად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისას, რომლებთან მისასვლელადაც მას, განჭვრეტად მომავალში, მეტოქე არ ჰყავს. ამით იგი იქმნის ენერგეტიკულ ბაზას თავისი ენერგეტიკის დასაზღვევად მომავალი გლობალური კონფლიქტების შემთხვევაში, რომლებშიც სულ არაა აუცილებელი, რომ ერთმანეთის პირისპირ „ჩრდილოეთი" და „სამხრეთი" იდგნენ. ამაშია, — ასე უნდა გავიგოთ — ამერიკელების „ხეირი" 23-24 მაისის მოლაპარაკებათა შედეგად.

იომებენ თუ არა ინდოეთი და პაკისტანი?

(„the economist" ამბობს: ალბათ, იომებენ, თუ პაკისტანის პრეზიდენტმა ვერ ალაგმა მებრძოლები, რომლებიც თავს ესხმიან ინდოეთს).

თავდასხმები ხდება ქაშმირზე, რომელიც ინდოეთის ერთ-ერთი ნაწილია. იქ პაკისტანს მძლავრი მხარდაჭერა აქვს მოსახლეობის მუსლიმან ნაწილში. პაკისტანის ელჩი განდევნილია დელიდან. სავაჭრო ფლოტი და სანაპირო დაცვა დაუქვემდებარეს ინდოეთის სამხედრო ფლოტს, სასაზღვრო დაცვა — არმიას. ქაშმირში (რომლის ნაწილი პაკისტანელებს უკავიათ) საარტილერიო სროლაა. ზომიერი ქაშმირელი სეპარატისტი, ვისთანაც ინდოელები მოლაპარაკებას იმედოვნებდნენ, მოკლულია. ორივე მხარეს ბირთვული იარაღი და მისი მიმტანი რაკეტები აქვს (ჩვენმა მკითხველმა იცის უკვე, რომ კონტროლისა და ურთიერთკავშირის შესაძლებლობა ამ ორ ქვეყანას, აშშ-სა და რუსეთისგან განსხვავებით, ძალიან ნაკლები მოეპოვებათ). ინდოეთის მთავრობას, ჟურნალის სიტყვით, „უფრო და უფრო უძნელდება, რომ არაფერი მოიმოქმედოს", თუმცა ბუშის დოქტრინა, რომელიც ამართლებს „სრულძალოვან საპასუხო დარტყმას ტერორისტების წინააღმდეგ", მას ამგვარი დარტყმის გაბედვას



სურათზე: მარცხნივ — პაკისტანის პრეზიდენტი, მარჯვნივ — ინდოეთისა

შეუძლია, ან არ უნდა მებრძოლების ალაგმვა. მართლაც, პაკისტანმა უკვე იმდენი გაიღო მსხვერპლად ქაშმირის პრობლემის სათავისოდ გადაჭრისათვის, რომ უკან დახევა მისთვის ძალიან ძნელია. თუმცა პრეზიდენტმა მუშარაფმა დააპატიმრა (ხოლო შემდეგ, ძირითადად, გაათავისუფლა) 2000 მებრძოლი და ექსტრემისტთა 5 დაჯგუფება აკრძალა, მისი საბოლოო წარმატების შესაძლებლობა ამ საქმეში ბევრს არავის სჯერა. შესაძლოა, მას იმედი აქვს, რომ ამერიკელები ძალიან მკაცრად არ მოსთხოვენ პირობის შესრულებას, რადგან მისი დახმარება ალ-ყაიდას წინააღმდეგ სჭირდებათ, მაგრამ, თუ ეს მართლაც ასეა, ეს, ჟურნალის სიტყვით, ამერიკელთა დიდი შეცდომა იქნება. სხვათა შორის, მუშარაფს ადრე ნათქვამი აქვს, ინდოელების პოზიციებზე დარტყმა ქაშმირში ლეგიტიმური მოქმედებაა და არა ტერორიზმი, და თავისი ეს სიტყვები არ გადაუთქვამს. მაგრამ, მეორე მხრივ, ინდოეთსაც ბევრი ცოდვა აქვს ძირითადად ისლამის აღმსარებელი ქაშმირის მიმართ, სადაც, თავისი დამოუკიდებლობის შემდეგ, მრავალ ასიათასიანი არმია ეყენა და უყენია. 1997 წელს მან ქაშმირის თვითგამორკვევის პირობა დადო, მაგრამ არ შეასრულა. ხოლო „ავტონომიურობის ხარისხის მომატება", რაზედაც დღეს ლაპარაკია, ქაშმირელებს არ აკმაყოფილებს.

ჟურნალის თქმით, პრინციპი „მიწა — მშვიდობის სანაცვლოდ" უცხოა მსოფლიოს ამ ყველა დიდი დემოკრატიის ლექსიკონისათვის.

კითხვას, რა შეიძლება გაკეთდეს, ჟურნალი ასე პასუხობს: ამერიკელებს თუ უნდათ, მშვიდობა დაიცვან, მათ პაკისტანსაც რაღაცა უნდა არგუნონ, მაგალითად, ინდოეთი დაითანხმონ მოლაპარაკების განახლებაზე ქაშმირის სტატუსის შესახებ. ეს ძნელია. ინდოეთი ძალიან ურყევად დგას თავის პოზიციაზე. მას პაკისტანზე უფრო დიდი არმია ჰყავს და ძლიერი ეკონომიკა აქვს. მაგრამ, მეორე მხრივ, მას უნდა, რომ იგი მსოფლიო ძალად აღიარონ, და ამ მხრივ იგი დამოკიდებულია დასავლეთის ნებაზე. ამიტომ „სიამაყე უნდა გადაყლაპოს ორივე მხარემ". რადგან ალტერნატივა ძალიან საშიში გახლავთ.

ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო კვანძია მსოფლიო უსაფრთხოების თვალსაზრისით. ჟურნალი პირდაპირ წერს, რომ ეს ორი ქვეყანა „განიხილება როგორც ყველაზე სახიფათო ბირთვული მეტოქეები". ინდოეთს 95-მდე ბირთვული იარაღი აქვს (შესაძლოა, ბევრად ნაკლებიც), პაკისტანს — 50-მდე (შესაძლოა, ბევრად ნაკლები). ორივე იქადნება, რომ წყალბადის იარაღიც ექნება, და არც ერთს არ გააჩნია ისეთი კომპეტენტური და პასუხისმგებლობის შეგნებით აღჭურვილი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია ბოლომდე შეებრძოლოს ბირთვული კონფლიქტის ხიფათსა და გაუგებრობას მხარეებს შორის. პაკისტანში „ღილაკი" სამხედროების ხელშია, ინდოეთში, პირიქით, პრემიერ-მინისტრის ხელში, რომელსაც შეუძლია სამხედროებს არც კი დაეკითხოს მისი თითის დაჭერაზე. პაკისტანის ჩვეულებრივი არმია ბევრად ნაკლებია ინდოეთისაზე, ამიტომ მას ცდუნება აქვს ბირთვულ იარაღს მიჰმართოს შესაძლო ომის ყოველ სტადიაზე, ინდოეთს კი იმიტომ არ ძალუძს თავის ბირთვულ პროგრამაზე ხელის აღება, რომ იგი ჩინეთის წინააღმდეგაც სჭირდება, და არა მხოლოდ პაკისტანის.

ბირთვული ომი ამ ორ ქვეყანას შორის იმას ნიშნავს, რომ ირღვევა მთელი სისტემა ამგვარი ომებისაგან დედამიწის დაცვისა. მასობრივი განადგურების იარაღის გაუფრცელებლობის პოლიტიკას ძირი ეთხრება. მეორეს მხრივ კი ინდოეთი უკვე ისეთი ძალაა, რომელსაც დიქტატის ენით ადვილად ვერავინ ელაპარაკება. მასზე ჩინეთის შესაძლო ბირთვულ დარტყმას ის აკავებს, რომ ასეთი დარტყმა ვერ გაანადგურებს, დღევანდელ ეტაპზე, საპასუხო დარტყმის შესაძლებლობას.

თუმცა პოლიტიკოსებს ეს თემა იშვიათად თუ ახსენდებათ, ამ ორი ქვეყნის მტრობას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა, დეკოლონიზაციის პროცესში, ინდოეთის შემადგენლობიდან პაკისტანი გამოყვეს რელიგიური ნიშნით. ინდოეთი დარჩა როგორც ინდუისტი მოსახლეობის სახელმწიფო, პაკისტანი — როგორც მუსლიმანურისა. ინდოეთის ერთადერთი შტატი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანია, არის ქაშმირი. სწორედ მასზეა ახლა ბრძოლა.

ინდოეთში სულ 120 მილიონი

სურათზე: ორივენი მზად არიან ომისთვის. ორივეს უნდა ომი.

მათ სხვა დრო წამოეწიათ

უდროობის ეპოქიდან გადარჩენილი...



შალვა მჭედლიშვილი ქართულ მწერლობაში გასული საუკუნის 40-იან წლებში მოვიდა... ახალგაზრდა პოეტს ადრევე ჩაუსაფრდა მისი ნიჭიერებისათვის გზის დამხშობი ძალა! ეს იყო უდროობის ბოროტი ეპოქა, რომელმაც დიდხანს და სასტიკად სდევნა მას... სდევნა საქართველოსა თუ ჩრდილოეთის ცივ, მიუსაფარ ქვეყნებში...

დღეს ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. უკვე მხცოვანი და მრავალჭირვარამ გადანახადი პოეტი ერთხელ კიდევ გვიხსნის სევდიან მოგონებათა ყულაბას და თვალწინ გვეშლება გარდასული წლების უსახური სინამდვილე.

...წამებამდე სავალი რჩება ერთი უბიწო და სათუთი გზა — ბავშვობა, ღვთით შთაგონებული იდეებით.

ამით იწყებს საუბარს ჩემი რესპოდენტი:

— შევესწარი, როგორ დაინგრა წმინდა გიორგის შესანიშნავი ტაძარი კარდენახში (დედულეთში). მახსოვს კოლმეურნეობის დაფუძნების პირველი წელი და იქ ჩასული სახელმწიფო მოღვაწე ფილიპე მახარაძე. მღელვარება სუფევდა, რადგან სოფლის მესვეურებსა და მოსახლეობას შორის ჭირდა საერთო ენის გამონახვა.

სკოლის შენობაში ვცხოვრობდით, რომელიც ოდესღაც თავად ფორაქაშვილს ეკუთვნოდა და ჩამოართვეს. დიდი რისკის ფასად მამაჩემმა შესძლო, მათთვის გამოეყო ყველაზე საუკეთესო ოთახი. იქვე დაასახლა განსვენებული ფორაქაშვილის ქვრივი ირინე და მისი 16 წლის ულამაზესი ქალიშვილი, რომელიც ხშირად მიკითხავდა რუსი პოეტების ლექსებს, მიამბობდა ზღაპრებს.

მამა სკოლის დირექტორი გახლდათ. მანვე ააშენა სოფლის პირველი კლუბი და თავის ძმასთან, ლადო მჭედლიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა სასიმღერო გუნდები. თავადაც შესანიშნავად უკრავდა ქართულ საკრავებზე.

დედა — ნინო თუშიშვილი რომანტიკული ბუნებით გამოირჩეოდა. აღმერთებდა ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და სხვებს. ადრეული ბავშვობიდანვე ჩამენერგა მათი სიყვარული. მოგვიანებით, როდესაც გამომძიებელი მეკითხებოდა, შენზე, ასეთ პატარა ბიჭზე ვინ იქონია გავლენა და როგორ ჩამოგიყალიბდა ნაციონალური იდეებიო, ვპასუხობდი: თვითონ ღმერთმა შთამაგონა-მეთქი...

1930 წლიდან შალვა მჭედლიშვილის ოჯახი დამკვიდრდა თბილისში. პატარა შალვა სასწავლებლად შეიყვანეს 1-ლ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (დღევანდელი 1-ლი გიმნაზია), რომელიც 1940 წ. დაამთავრა. ამის შემდეგ საბუთები შეუტანია ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. მშობლებს ერთადერთი შვილის უნივერსიტეტში შეტანილი საბუთები გამოუტანიათ და სამედიცინო ინსტიტუტში შეუტანიათ...

— მიზეზი გახლდათ ის, რომ იმ დროისათვის „იდეოლოგიურად მიუღებელ“ ლექსებს ვწერდი, — აგვიხსნა ბატონმა შალვამ, — მშობლები შიშობდნენ, არ გავმხდარიყავი რეპრესიების მსხვერპლი.

დედ-მამის მწვავე წინათგრძნობა ახდა და 1945 წლის 27 მარტს ჩემი ლექსების გამო დამაპატიმრეს.

თავდაპირველად, ქ. თბილისის სუკის საპატიმროში მომისაჯეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. მოგვიანებით კი, სპეციალური დადგენილებით, როგორც ყველა პოლიტპატიმარი, მეც შორეულ მხარეში გადამასახლეს...

არცთუ შორეულ ეპოქას, რომელზედაც ვსაუბრობთ, მხოლოდ ათეული წლების შემდეგ ეწოდა უღმერთობისა და განუკითხაობის ხანა. დღეს შეგვიძლია ამის შესახებ ვთქვათ თამამად... მაშინ კი, ალბათ, უახლოეს მეგობარსაც ვერ გაენდობოდი. დრო იყო ასეთი და იმიტომ!

ბატონი შალვა გულისტკივილით გვიამბობს გადასახლებაში გატარებულ წლებზე:

— გადამასახლეს იმერ-პოლარეთში, ვორკუტის საკატორღო საპატიმრო ბანაკში. ეს იყო საშინელი, არნახული სისასტიკისა და არაადამიანურ ჯოჯოხეთში გატარებული წლები, საიდანაც 1957 წლის 27 მარტს „განვთავისუფლდი“. შინ დაბრუნების ნაცვლად, ვორკუტის ციხეში შემასახლეს. ეს მაინც ერთგვარი ფუფუნება იყო, რადგან არც ქვანახშირის მაღაროში მიწევდა მუშაობა და არც სიცივე-ყიამათში ზედამხედველის თანხლებით ხეტიალი... ბოლოს, გამიღიმა ბედმა და მუდმივ გადასახლებაში გამგზავნეს ყაზახეთის იმ რეგიონში, რომელიც ციმბირს ეკუთვნოდა...

ბორტების ამ ეპოქაში გამონაკლისი არ გახლდათ ჩემი რესპოდენტის ხვედრი. ასევე დაუნდობლად ეწამებოდნენ ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილები. „ხალხის მტრად“ შერაცხულები სრულიად უდანაშაულოდ იხდიდნენ სასჯელს ცივსა და მიუსაფარ ქვეყნებში. ეწამებოდნენ და მაინც ჯიუტად, დაბრუნების ურყევი რწმენით, ჯოჯოხეთად ქცეული კატორღეებიდან ჭირისუფლობდნენ საქართველოს.

— მრავალი ღირსეული ადამინი უმიზეზოდ, უსამართლოდ იტანჯებოდა. იმ შორეულ მიწაზე ერთი სატკივარი, საერთო გასაჭირი გვაძლებინებდა. ნიჭიერი საზოგადო მოღვაწე, კიტა ბუაჩიძე, „დანაშაულის დაფარვის“ გამო იხდიდა სასჯელს. ამ ბრალდებით იყო დაპატიმრებული შესანიშნავი პოეტი ალექსანდრე ბეგაშვილი. მსოფლიო სახელის მქონე ფიზიოლოგი, სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, გიორგი ვაწაძე და სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ცნობილი ლიდერის, ბარბიუსის ახლო მეგობარი ვალერიან დვალიშვილი ვორკუტაში იხდიდნენ სასჯელს. ამ უკანასკნელს შუბლზე და ზურგზე კატორღელის ნომერი ჰქონდა ამოტვიფრული და თავისი გვარი უკვე აღარ გააჩნდა.

მხოლოდ 1957 წელს მოახერხა შალვა მჭედლიშვილმა სამშობლოში დაბრუნება ამნისტიის წყალობით.

— მამა გარდაცვლილი დამხვდა, დედა — დამბლადაცემული. როგორც ეჭიმს (გადასახლებაშივე დავამთავრე ყარაღანდის სამედიცინო ინსტიტუტი), სამუშაო არ მომცეს. სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო, — ასეთ მკაცრ პირობებში დაუბრუნდა იგი მშობლიურ გარეგოს...

ბოლოს, კეთილი ადამიანების შეწევნით სამსახურიც უპოვია, იგი საქართველოს სხვადასხვა კურორტებში: შოვში, ბორჯომში, გაგრაში, წყალტუბოსა და ახტალაში წლების მანძილზე მუშაობდა მკურნალ ეჭიმად...

ამჟამად შალვა მჭედლიშვილის სიხარული და სიამაყე, როგორც თავად გვიამბობს, მისი ოჯახია. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და სამიც შვილიშვილი...

მისი პირველი სიყვარული და პირველი ოჯახი კი ერთი დიდებული პოეტი ქალის სახელს, ანა კალანდაძეს უკავშირდება.

„დიდი პოეტი და ღვთისნიერი ადამიანი“ — დღეს ასე მოიხსენიებს იგი საქართველოს მგოსანსა და ყოფილ მეუღლეს... ჩანს, ხანგრძლივი ბედნიერებისათვის სიყვარული ვერ აღმოჩნდა საკმარისი და ბედისწერასაც მათი გზები სამუდამოდ გაუთიშავს...

ამ თემაზე ბატონმა შალვამ საუბარი არ ისურვა.

— ალბათ, ბედად არ გვეწერა ერთად ყოფნა. იმხანად ჩემს ჭერქვეშ ცხოვრება მისი მხრიდან დიდი მოქალაქეობრივი გაბედულებაც იყო. როდესაც ნახა, რომ ოჯახი ნადგურდებოდა, მეკი მომავალი ჯერჯერობით არ მიღიმოდა, ანა ჩემგან წავიდა! — იმ წარსულიდან შალვა მჭედლიშვილს მხოლოდ ეს სიტყვები დავაცდევინე...

ადვილი შესამჩნევია, რომ ჩემი რესპოდენტის ყოველი ფრაზა, როგორც იტყვიან, აწონილ-გაზომილია. ალბათ, ესეცაა მისი მოკრძალებული ბუნებისა და თავმდაბლობის მაჩვენებელი, ხასიათის ის უზადო შტრიხი, რაც საოცრად განასხვავებს შალვა მჭედლიშვილს დანარჩენთაგან.

ამიტომაც მოვიძიეთ მასზე, მის გარეშე, სასაუბროდ მისივე მეგობარი, პროფესორი ბიძინა ლუტიძე:

— არაჩვეულებრივი, ძალიან ნიჭიერი, ხალასი, სუფთა და მოსიყვარულე, ინტელექტუალური, ლირიკული და გულუბრყვილოც კი, — ასეთი გახლავთ ბატონი შალვა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. მიუხედავად თავს დატეხილი უბედურებისა, თავისი ცხოვრების პრინციპებისათვის არასოდეს უღალატია.

ერთ სკოლაში ვსწავლობდით. პოეზიამ შეგვკრა და დაგვამეგობრა ერთმანეთთან. ჩაბმული ვიყავით ლიტერატურულ წრეებში.

იმ პერიოდში ყველა ლიტერატურული წრე კონტროლდებოდა. აუცილებლად უნდა გვეწერა საბჭოთა იდეოლოგიით, ეს რატომღაც მხიარული განწყობილების გარეშე წარმოუდგენელი ეჩვენებოდათ. ცხოვრება მარტო სიხარული ხომ არ არის? ბუნებრივია, არსებობდა სევდაც, მაგრამ ამის გამოხატვა გვეკრძალებოდა. ამიტომაც საკუთარი ემოციების, სულისკვეთებისა და ინტიმური განცდების გადმოსაცემად შალვა მჭედლიშვილის ოჯახში დაარსდა ახალგაზრდა მწერლების ხელნაწერი ჟურნალი „ქარიშხალა“.

ბატონი შალვა ძალიან საინტერესო ლექსებს წერდა. მისი პოეზიით ბავშვობიდანვე ვიყავით აღტაცებულები. საერთოდ, ლექსების საშუალებით საოცრად ვახერხებდით ერთმანეთის სულში ჩახედვას. ეს ბადებდა ჩვენში დიდ სიყვარულსა და მოწიწებას, რაც დღემდე გამომყვა.

იმხანად ჩვენში არცერთი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება არ ყოფილა ანტისაბჭოური. უბრალოდ, ჩვენს სულიერ განცდებს გადმოვცემდით... სამწუხაროდ, ჟურნალის არსებობის საიდუმლო გაიცა და სასწრაფოდ დახურეს. რეპრესიებისგან თავი რომ დაგვეღწია, ბევრი მათგანი ჯარში წავიდა, მათ შორის მეც (შალვა მჭედლიშვილი ავადმყოფობის გამო არ გაიწვიეს. როდესაც ჩვენ დავბრუნდით, ის უკვე გადასახლებაში იყო).

კარგად მოგეხსენებათ იმ ჯოჯოხეთის შესახებ, რაც მან გადასახლებაში გამოიარა. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი პიროვნება სრულიად უმიზეზოდ მოხვდა არაადამიანურ გარემოცვაში. მისი ცხოვრების ეს საშინელი წლები რომ არა, გაცილებით მეტს გააკეთებდა... პატიმრობის შემდეგ, ფაქტობრივად, მედიცინაში გადავიდა. ბოლოს მაინც შემობრუნდა პოეზიისკენ. ცხადია, სხვანაირად ვერც მოიქცეოდა — ვერ იარსებებდა ლექსების გარეშე, რადგან ეს არის მისი მოთხოვნილება.

გარდა იმისა, რომ ბატონი შალვა ნიჭიერი შემოქმედია, ასევე უდიდესია ის, როგორც პიროვნება. როცა მასზე ვსაუბრობ, მინდა გამოვყო უსაზღვრო სიკეთე, რითაც მან დღევანდლამდე მოაღწია. ამაზე სასწაული რა უნდა ყოფილიყო, იცოდა ვინ გასცა და ამაზე წლების მანძილზე დუმდა. შეეძლო, მაგრამ არასოდეს დასდგომია შურისძიების გზას. მიმტევებელი ბუნებით გამორჩეულს არ შეშლია, როდის გამოეთქვა ხმამაღლა წლობით დაგროვილი ტკივილი.

ირმა ჩიტაია

P. S. ამასწინათ თსუ-ის დარბაზში პოეზიის საღამო ჩატარდა, რომელიც მიეძღვნა ოდესღაც დევნილ, დღეს უკვე უანგარო პოეტსა და მედიცინის ღვაწლმოსილ მუშაკს, შალვა მჭედლიშვილს — საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ათიოდე პოეტური კრებულის, მრავალი პუბლიცისტური წერილისა და სამედიცინო-სამეცნიერო შრომების ავტორს.

პოეზიის საღამოზე თავშეყრილმა ადამიანებმა დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით გაუმხილეს პოეტს დაგვიანებული სათქმელი.

დამშვიდობება

შშვიდობით, ვცოვენ
შშობლიურ ქალაქს,
სადაც შანაშენს და ჯვარზე შაცვეს,
სადაც ყოველღლე
ეხვეშოდი ჯალათს,
სადაც ყოველღლე
ეხვეშოდი გაშცეშს.
რა შახსოვს ან
რას ენაცრობი ნეტავ,
ან სიყშანვილის წლეში საღ ახრის!
შაშულის ყველა საპყრობილეთა
გამხადეს შკვიდრი შე ბინადანი.
კურთხეულ იყენენ სხვენი შზისანი,
შზე — ღვთაებრივი ქალის ხატეშა,
ო, უბედენი შხოლოდ ის ახის,
ვინც ახასოდეს ღაიბადეშა.

შალვა მჭედლიშვილი

ქუჩდგება ტპეერაში

ვიღაცამ სან ფრანცისკოელ ბალერინას 5000 დოლარიანი ფოტოაპარატი მოჰპარა.

ეს სამარცხვინო ფაქტი სულ ცოტა ხნის წინ მოხდა. ოპერის მუშაკთა გულმოდგინე მცდელობით არ გახმაურდა პრესაში, თუმცა საქვეყნოდ რომ თავი მოგვეჭრა, ესე აშკარაა.

— რაც მოხდა ცუდია, მაგრამ რა, უარესი არ ხდება? რაღა მაინც და მაინც ეს გაინტერესებთ? ერთი უბრალო ფოტოაპარატი იყო, სულ 300-400 დოლარი ღირდა, აგერ იმხელა კაცი გაიტაცეს, პიტერ შოუ და... — ამგვარი კომენტარით „გვანუგეშა“ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა.

ახლა იმის მტკიცება, ეს სამარცხვინო ინციდენტი ქართველებისთვის თავმოსაჭრელად წინასწარ იყო დაგეგმილიო, ალბათ, სწორი არ იქნება. ხელმრუდ კაცს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ოპერის დირექტორმა რომ დაკარგული ნივთის ღირებულება შეგნებულად დამალა და აშკარად იცრუა, სარწმუნო წყაროებიდან ნამდვილად ვიცით.

— ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, აპარატი დაგვებრუნებინა. პოლიციაც მოვიყვანეთ, მაგრამ ამაოდ. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი გავარკვიეთ, სანაცვლოდ ჩემს 250 დოლარიან აპარატს ვჩუქნიდი, მაგრამ არ წაილეს, არც ფული გამომართვეს. ისე, ის ჩინელი ბალერინა ძალიან დაუდევარი და დაბნეული იყო. სად რას ტოვებდა, კაცმა არ იცის. საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა, ორ საათში დავავიწყეთ ფოტოაპარატი, ისეთი მასპინძლობა გავუწიეთ. მე მგონი, თუ მოვიწვევთ, სტუმრობაზე უარს არც სხვა დროს არ გვეტყვიან — აცხადებს ზურაბ ლომიძე.

ის, რომ სადაც არის საერთაშორისო ტერორიზმის ბუდედ აღიარებენ საქართველოს, როგორც ჩანს, ზოგიერთებისთვის საკმარისი არ არის და ქვეყნისთვის ბოლომდე სახელის გატეხვას არაფრად დაგიდევთ. ეს ერთი „უმნიშვნელო“ გაუხსნელი ინციდენტი კი იმის გარანტი გახლავთ, რომ ქურდი არც მორიგ სასახელო სტუმრებთან დაერიდება ამგვარ „საგმირო“ საქმეებს.

ფიქრია გოგოლაძე

ეროვნული ინტერესი

დაუვიწყარი სახეები

ოთარ რამიშვილმა არჩევნებში ხმა გიტარას მისცა



ის არ ჰგავს არავის. ალბათ, ესეც ერთგვარი ხასიათია, იყო დანარჩენთაგან გამორჩეული... აბსოლუტურად თავისუფალი, ასე ვთქვათ, ადამიანი საზღვრებს გარეშე!.. უკომპლექსო, შესაძლოა, ზოგჯერ უხეშიც, მაგრამ ბავშვივით ალალი და გულუბრყვილოც. ის სწორედ ასეთია და არც ძალუძს, იყოს სხვა... აკი თვითონაც თქვა:

„მე არაფერი არ შემცვლის აწი,

ახლა ძნელია ჩემი გარდაქმნა,

დაბადებიდან არ ვიცი, რა მჭირს,

ასეთი ვარ და ახლა რაღა ვქნა?!“

მისგან ხშირად გაიგონებთ, ხმა არ მივარგაო... თუმცა, საკმარისია გიტარაზე ერთი-ორი აკორდის ალება და... ვინუსხებით!

ეს ჩვენი ოთარ რამიშვილია.

ფესვები...

ოთარ რამიშვილს თავისი შესანიშნავი ლექსებითა და სიმღერებით ვიცნობთ. ამ შემოქმედების ადრესატია ყველა, ვისაც ხიბლავს მისი ღვთით მომადლებული ნიჭი. ეს მისი ქვეყანაა, მგოსანთა მხარედ წოდებული, სადაც სიმღერით ადვილად ვერავის გააოცებ...

სიმღერის ნიჭი კი, როგორც თავად გვიამბობს, მამისგან დაჰყვა:

— მამა ნიჭიერი მომღერალი გახლდათ. ბავშვობიდანვე მხიბლავდა ის ბრწყინვალედ შესრულებული სიმღერებით. ლირიკულ-დრამატული ტენორი ჰქონდა. სამწუხაროდ, ხელოვნებას არ გაჰყვა და ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა მისი სიმღერები. მღეროდა შინაურ წრეში. დედაჩემიც თავისი განუმეორებელი ხმით მოუხიბლავს. ახლა არც მამაა ცოცხალი, არც დედა და ეს ჩემი ტკივილია.

„არ დაიჯერო“-თან...

დღეს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებზე, განსაკუთრებით ხელოვნების წარმომადგენლებზე. ეს „სიბრალულს“ უფრო ჰგავს, როცა პოლიტიკური ასპარეზისათვის გენანება მათი „ფუჭად გაცდენილი“ დრო, რადგან ამით თითოეული წამი ხელოვნების დიდებულ სამყაროს აკლდება. ასეთი გაპოლიტიკოსებული ხელოვანი კი არსებულ ხელისუფლებას მრავლად ჰყავს.

თუკი ბატონ ოთარს მოვუსმენთ, „დღეს ყველა პირადი ამბიციებისთვის იბრძვის. ქართველი ერის ინტერესმა, სამწუხაროდ, სულ სხვა განზომილებაში გადაინაცვლა. როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ხელოვნების წარმომადგენლები, ვიფიქრე, კარგია, იქნებ ხელოვნებას რამე ეღირსოს-მეთქი. ყველასათვის გასაგებია, რაც ხდება. ისინი ჯერ-ჯერობით ამ ყველაფერს თავისთვის აკეთებენ. თუ რამე დარჩათ, შესაძლოა, ჩვენც გვეღირსოს რამე, მაგრამ ფინალი საოცრად მაგონებს იშხნელების სიმღერას: „არ დაიჯერო, არ დაიჯერო“...

ნოსტალგია

ოთარ რამიშვილის ნოსტალგია ეს ძველი თბილისია:

— ვერ ვცნობ თბილისს!.. სხვა ხალხი, სხვა სამყარო, ცხოვრების წესიც კი განსხვავებული. ის, რაც ადრე გვხიბლავდა, დღეს უკვე დავიწყებას მიეცა... ამდენი ხალხი თბილისში თავმოყრილი არასოდეს მინახავს. მთელი დღე რომ შემოურბინო ქალაქს, ორ ნაცნობს ძლივს იპოვი. თუმცა, ეს ხომ ამ გაჭირვებულმა ცხოვრებამ მოიტანა. საშოვარზე გამოსული ადამიანებით აივსო თბილისი, ყველამ მას მოაშურა, დედაქალაქი და იმიტომ...

მეგობრობა, სიყვარული, ერთმანეთის გატანა, ერთგულება და პატივისცემაა, რითაც ჩვენს ახალგაზრდობაში თავს ვიწონებდით, ახლა ამ ღირებულებებს ყავლი გაუვიდა. საერთოდ, ცხოვრება შეიცვალა. ადამიანს თავისი მიზნის მისაღწევად შეუძლია, ყველა და ყველაფერი ფეხქვეშ გათელოს. განდიდების წყურვილმა საკუთარი სახე დაუკარგა ხალხს და ამის ყველაზე დიდი დასტურია, რაც ხელისუფლებაში ხდება... ამის ნიმუში არჩევნებშიც ვნახეთ. ისე, ხუმრობით გეტყვით, როცა არჩევნები დამთავრდა და მკითხეს, ხმა ვის მიეცი, გიტარას-მეთქი... ყველაზე ნაღდია და უღალატო.

ოთარ რამიშვილის კურიოზები

ერთხელ ერთმა კაცმა დამირეკა, ბატონო ოთარ, თქვენი ძველი ნაცნობი და ახლობელი ვარ, გახსოვთ, 1952 წელს ქუთაისში ხაში რომ გაჭამეთო, ასე შემახსენა „ნაცნობობა“ და მთხოვა, რაღაც პრობლემების მოგვარებაში დავხმარებოდი.

— როგორ არ მახსოვხარ-მეთქი და „მისამართიც“ ჩავაწერინე სევასტოპოლის 14 (იქ ზემო ვერის სასაფლაოა). ბოლოს მაინც იქ მოვალ, დამელოდე-მეთქი.

* * *

ამასწინათ ორი მოხუცი შემხვდა. მომესიყვარულნენ, მომეფერნენ, ძალიან გვიყვარხარო და ბოლოს, მკითხეს, ნიჭიერი კაცი ხარ, ხმა ვის მიეციო. — სადა მაქვს ხმა, ვის უნდა მივცე, ჩემთვის ძლივს ვლაპარაკობ-მეთქი.

* * *

ჟურნალისტის შეკითხვას, რამდენი გაქვთ შემოსავალიო, მთელი „სერიოზულობით“ ვუპასუხე: ორი, ერთი ეზოდან, მეორე ქუჩიდან...

* * *

ეს კურიოზი ბატონი ოთარის მეუღლემ, ქალბატონმა გულნაზიმ გვიამბო:

„ოთარს ერთი ნაცნობი ექიმი ჰყავდა, მელოტი. უთქვამს, მამიდაჩემი ამზადებს წამლებს, ისეთ მალამოს დაგიმზადებს, მანქანის „კაპოტს“ რომ წაუსვა, ხუჭუჭი თმები წამოუვაო.

რამდენიმე დღის განმავლობაში ჩუმად შედიოდა სამზარეულოში და რაღაცას ხარშავდა. ყოველ დილით მხვდებოდა კედლები გამურული. ასე მეორდებოდა რამდენიმე დღე. თან გამალებით რეკავდა მამიდასთან, რაღაცას ინიშნავდა (მამიდა მართლა ამზადებდა წამლებს).

ერთხელაც, დილაუთენია სტუმარი დამაყენა თავზე. გინდა თუ არა, თავი დაბანეო. რას ვიზამდი, დავბანე და ოთარის „დამზადებული მალამოც“ წავუსვით, მაზუთისმაგვარი რაღაც. თავი შევუხვიეთ პოლიეთილენის პარკით. ორ დღეში ერთხელ უნდა გაგვემეორებინა. წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი ხდება გაგანია სიცხეში.

ერთ დღესაც მირეკავს „პაციენტი“, საშინელ დღეში ვარ, თავის კანი გადამძვრაო. ძალიან შევწუხდი, სიმწრის ოფლმა დამასხა, მაგრამ ძალა მოვიკრიფე და დავამშვიდე, იცი რა, ეტყობა ალერგიული ხართ, იქნებ გადადუღებული ზეთი წაისვათ თავზე-მეთქი. მაშინ გადადუღებული ზეთი, ასე ვთქვათ, „მოდაში“ იყო. თან ბავშვებისთვის ვიყენებდი. ისიც მორჩილად დამეთანხმა, მეც ამას ვფიქრობდი, მაგრამ უთქვენოდ ვერ გავბედეო. როცა დავამთავრე „პაციენტთან“ საუბარი, რა თქმა უნდა, ძალიან ვინერვიულე, ყველაფერი ცნობილ ანდაზას დაემსგავსა, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენ თავითაო“. ამ დროს ოთარი სახლში არ იყო. ღამის პირველ საათზე მთვრალი დაბრუნდა, ძლივს იდგა ფეხზე.

— ის კაცი ცუდ დღეში ჩაგიგდია, პოლიციაში გიჩივლა, უნდა დაგიჭირონ-მეთქი. ხუთ წუთში გამოფხიზლდა. დაურეკა სიძეს, მიშველე, მიჩივიანო. ერთად გაქანდნენ მამიდასთან. თურმე „მალამო“ სამმაგი დოზით მოუმზადებია“.

კეთილი ადამიანების წყალობით

ოთარ რამიშვილის შემოქმედება უთვალავ ლექსსა და სიმღერას ითვლის. მათი უმრავლესობა თავმოყრილია წიგნებში: „ოთარ რამიშვილის ლექსები“,

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ვის სწირავენ მსხვერპლს თავისუფალი თეატრის მსახიობები?

თბილისში დამოუკიდებლად არსებული თეატრების რაოდენობა დღითიდღე მატულობს. ამ „თეატრცვენაში“ ძალიან ცოტაა ისეთი, რომელმაც შეძლო საკუთარი ხელწერა შეემუშავებინა და ეარსებნა სხვათაგან გამორჩეულად, სრულიად განსხვავებულად. ამ მხრივ, თავისუფალმა თეატრმა ნამდვილად გაამართლა. პირველ რიგში, გაამართლა თავად სახელწოდებამ და თეატრი იქცა თავისუფალი სიტყვის და აზრის ნავთსაყუდლად. ამ თეატრის სულისჩამდგმელი და თავკაცი, ავთანდილ ვარსიმაშვილი, დღეს ჩვენი სტუმარია. ბუნებრივია, ჩვენი საუბრის თემაც ის ჯადოსნური სამყაროა, რომელიც მან თავისი უბადლო ნიჭით გამოძერწა.

— როგორია თქვენი ცხოვრება „თავისუფალი თეატრით“ და „თავისუფალი თეატრის“ ცხოვრება თქვენით?

— „თავისუფალი თეატრი“ არის ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. მის გარეშე ძალიან მიჭირს საკუთარი თავის წარმოდგენა. თუმცა ამჟამად ის ჩემს გარეშე არსებობს, რადგან მან უკვე მიიღო სხვადასხვა რეჟისორების სპექტაკლები და არაჩვეულებრივად ლამაზად, ლაღად აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას.

— რამ განაპირობა სხვადასხვა სპექტაკლების მიღება?

— ჩემი აზრით, დამღუპველია, როცა თეატრის ხელმძღვანელი თეატრს მხოლოდ საკუთარი სპექტაკლების პოლიგონად აქცევს. ამაში არაბუნებრივს ვერაფერს ვხედავ.

— თქვენთვის არ იყო მტკივნეული, თეატრმა რომ სხვა სპექტაკლები მიიღო?

— აბსოლუტურად არა. პირიქით, მოხარულიც ვიყავი. მაგრამ ყოველთვის ვაყენებდი პირობას, რომ სპექტაკლი უნდა იყოს მაღალმხატვრული, ნიჭიერად გაკეთებული და ამასთანავე თავისუფალი თეატრალური პროექტი. ჩემთვის მთავარი ამ კომპონენტების დაკმაყოფილებაა.

— „თავისუფალ თეატრში“ შემოჭრილმა სპექტაკლებმა თქვენი პირობა რამდენად დააკმაყოფილა?

— წინასწარ ამის ასპროცენტიანი გარანტია ხელოვნებაში არ არსებობს. უბრალოდ, ინტუიციის დონეზე, ვფიქრობ, გაამართლა. ამის დასტურია „ჯინსების თაობა“. გარკვეულწილად „მედეაც“. სხვა პროექტები, რომლებიც დაიდგა ჩვენს თეატრში და არ გაამართლა, მოიხსნა.

— ძირითადად რა პოსტულატები გააჩნია „თავისუფალ თეატრს“?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს არის მაღალმხატვრულობა, პიროვნების თავისუფლების ხოტბა, თამამი თავისუფალი თეატრალური იდეა და რაც მთავარია, თავისუფალი სიტყვა.

— რამდენად მოახერხა თეატრმა თავისუფალი სიტყვის თქმა?

— რა თქმა უნდა, მოახერხა. წინაალმდეგ შემთხვევაში წარმატებას ვერ მიაღწევდა. თქვა, მაგრამ ბოლომდე არ დაამთავრა თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ თეატრმა ამოწუროს თავისი სათქმელი.

— ბატონო ავთანდილ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ვერ მიიღეს „თავისუფალი თეატრის“ თავისუფლება. ამის მაგალითია სპექტაკლი — „პროვოკაცია“. მან ერთდროულად დადებითი და უარყოფითი შეფასება მიიღო. თქვენ რას გვეტყვით ამ სპექტაკლზე?

— მე უფრო მეტს ვიტყოდი იმაზე, ვინც კრიტიკულად გამოდის. ჩემზე თუ უარყოფით რეცენზიებს წერენ ეს ჩემი პრობლემა არ არის. თეატრისთვის მთავარი ბარომეტრი მაყურებელია და არა რომელიმე კრიტიკოსი, რომელსაც თეატრი წარმოუდგენია სადღაც ოთახში თბილ სავარძელზე მჯდრად. განსაკუთრებით, უფროსი თაობის კრიტიკოსები მოწყვეტილნი არიან იმ რეალობას, რაც ხდება დღეს საქართველოში.

— „თავისუფალი თეატრი“ ჩვენი ქვეყნის მწარე სინამდვილეს საკმაოდ აგრესიულად აშუქებს. გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ ხსენებული სპექტაკლი „პროვოკაცია“. როგორ აღიქვა მაყურებელმა ეს აგრესია?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ „თავისუფალი თეატრი“ თავის აზრს აგრესიით გამოხატავს. მართალია, ხშირ შემთხვევაში გამოიკვეთება აგრესია, მაგრამ „ჯინსების თაობა“, „კომენდიანტები“ საკმაოდ სენტიმენტალური სპექტაკლებია. რაც შეეხება „პროვოკაციას“, სულ სხვა სახის პროექტია და აგრესიასაც სხვა დატვირთვა ახლავს. საბოლოო ჯამში ორივეს ერთი მიზანი ამოძრავებს. მაყურებელს დაანახოს მწარე სინამდვილე და სიმართლე უთხრას. ვფიქრობ, რომ ეს აგრესია მაყურებელმა ჩვეულებრივად მიიღო. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გვაქვს სრული ანშლაგი და მთელი ის, ტერმინოლოგია რომ ზედმეტი იყო, ან რაღაც აკლდა, დილეტანტური მსჯელობაა. როგორც მოგეხსენებათ, სპექტაკლის მთავარი განმსაზღვრელი მაყურებელია, რომელიც ფეხზე მდგარი, ძალიან დიდხანს უკრავს ტაშს და ყვირის „ბრავოს“.

— „კომედიანტები“ თქვენ უმშვენიერესი სპექტაკლია, რომელმაც უდიდესი წარმატება მოგიტანათ. როგორ გაიხსენებდით მასზე მუშაობას?

— მართლაც ამ სპექტაკლმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. უნდა გითხრათ, ძალიან კარგი გუნდი შეკრიბე. ყველაფერი სწრაფად გავაკეთეთ. სპექტაკლი, პრაქტიკულად ორკვირანახევარში დაიდგა. ამ სპექტაკლისათვის შინაგანად მზად ვიყავი. წინასწან ვიცოდი, როგორ უნდა დამედგა, ამიტომ ეს ხდებოდა ძალიან სწრაფად. სპექტაკლის მთავარი სათქმელი თანაბრად გვანუხებდა თითოეულ მსახიობს, ამიტომ იმდენად გულწრფელი ვიყავით, რომ ჩვენი რეპერტუარები მსხვერპლშენირვას უფრო ჰგავდა. როგორც ჩანს, შედეგმაც არ დააყოვნა.

— ამ სპექტაკლში არის ფრაზა: „თუ სახელმწიფომ გაგწირა და გიღალატა, დაიწყე თამაში და ყველას დაუმტკიცე, რომ ცოცხალი ხარ!“ თქვენ საკუთარ თავზე გამოსცადეთ ეს ღალატი?

— ეს საკმაოდ ზოგადი თემაა. ვფიქრობ, ნებისმიერი ხელოვანი უნდა იყოს ოპოზიციაში ხელისუფლებასთან, რადგან ქვეყანაში, სადაც ცხოვრობ, თუ ერთი ადამიანი იჩაგრება, თუკი ერთი თავისუფალი სიტყვა იხშობა, ეს აუცილებელიც კია. მე ვარ ხელისუფლების ოპოზიცია. ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო. ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებს. ეს, როგორც ჩემი ერისა და ხალხის, ასევე ჩემი ღალატიც არის, თითოეული ჩვენთაგანის. შეუძლებელია ერთი ადამიანის ყოფის კეთილდღეობით განვსაზღვროთ ქვეყნის კეთილდღეობა. მე მილიონიც რომ მქონდეს, ამით რა? ჰრეტენ-

გაგრძელება მე-12 გვერდზე

გზა ცათა სასუფევლისა

ღელს ღვთაებრივი ცეცხლი ღმერთმა ქართველი კაცის ხელით „გადაარჩინა"

მარადიული საჩუქარი, რომელიც ღმერთმა ქრისტიანებს უძღვნა დასტურად იმისა, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, პირველივე საუკუნიდან დღემდე გრძელდება. ღვთაებრივი ცეცხლი, რომელსაც უდიდესი მადლი და ძალა გააჩნია და სასწაულთმოქმედი თვისებების მქონეა, საუკუნეების განმავლობაში გადმოდის მაცხოვრის საფლავზე. მას მხოლოდ იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი იღებს, რადგან ეს სასწაული საფლავში მხოლოდ მისი შესვლის დროს ხორციელდება დიდ შაბათს. ცეცხლს თხუთმეტი წუთის განმავლობაში არ გააჩნია წვის ძალა. პირიქით, სახეზე, სხეულზე, ჭრილობაზე შეხებით განკურნების უნარიც შესწევს. ეს არ არის მიწიერი, ჩვეულებრივი ცეცხლი, ეს ზეციური ცეცხლია.

მოციქულთა და წმიდა მამათა მოწმობით, ელვარე, სპეტაკმა ნათებამ პირველად იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დროს გაანათა მაცხოვრის საფლავი.

მაცხოვრის საფლავზე მადლიანი ცეცხლის გადმოსვლის შესახებ მოწმობს IV საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი და სასულიერო მოღვაწე, ევსევი კესარიელიც. აღდგომის ტაძრის აშენებისთანავე (ეს IV საუკუნეში წმ. ელენე დედოფლის ბრძანებით მოხდა), გადმოედინებოდა მადლიანი ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე.

არის შემონახული ცნობები, რომ სალადინის დროს თვით ხალიფაც კი მისულა დიდ შაბათს აღდგომის ტაძარში სანთლებით ხელში, მადლიანი ცეცხლის მისაღებად. მაჰმადიანები მას ზეციურ ცეცხლს უწოდებენ და სიწმიდედ აღიარებენ.

იმ უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე ყოველთვის მართლმადიდებელური აღდგომის დღეს უფალი კვლავ ამცნობს ადამიანებს ამ ცეცხლის გადმოსვლაზე, რომ იგი სულ ჩვენთანაა და რომ ახლა მთავარია, ვიყოთ ჩვენ მასთან.

მლოცველები უკვე წინა დღით, წითელ პარასკევს იკავებენ ადგილს აღდგომის ტაძარში მაცხოვრის საფლავთან ახლოს. ისინი მთელ ღამეს ლოცვასა და მღვიძარეობაში ატარებენ. სანთლებს კონებად კრავენ, თითოეულში 33 სანთელია, რაც მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების წლებს აღნიშნავს. საღამოს ყველა კანდელსა და სანთელს აქრობენ. ტაძარი მთელი ღამის განმავლობაში სიბნელითაა მოცული.

ზეიმი იწყება ლიტანიობით. პროცესია იერუსალიმის საპატრიარქოს ეზოდან გამოდის და წმ. იაკობის ტაძრის საკურთხევლისაკენ მიემართება. აღსავლის კარიდან პატრიარქი გამოდის, მას სასულიერო პირები — სტიქაროსნები და მგალობლები მიჰყვებიან. პროცესია წმიდა კუვულიასთან ინაცვლებს და სამჯერ შემოუვლის მას გალობით: „აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ...". შემდეგ ჩერდება კუვულიის კარის წინ. აღსანიშნავია, რომ კუვულია ორი ნაწილისაგან შედგება: ანგელოზი ეკვდერისა და საკუთრივ მაცხოვრის საფლავისაგან. კუვულიის კარი ტრადიციისამებრ დალუქულია ლუქის ან ცვილის ბეჭდით, რითაც სიმბოლურად დაბეჭდილია მაცხოვრის საფლავი.

პატრიარქი განიმოსება — მხოლოდ კვართში. იღებს კარი და იგი კუვულიაში შედის. აღსანიშნავია ისიც, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, კუვულიაში შემავალ პატრიარქს ყოველთვის გულმოდგინედ ათვალიერებენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩხრეკენ, ხომ არაფერი შეაქვს ისეთი, რისგანაც შეიძლება სანთლის ანთება. მასთან ერთად კუვულიაში შესვლის ნება აქვს მონოფიზიტთა მღვდელთმთავარს, მაგრამ იგი დაიშვება მხოლოდ ანგელოზის ეკვდერში.

პატრიარქი მუხლის ჩოქით მიეახლება მაცხოვრის საფლავს და... აი, ამ დროს იწყება მღელვარე წუთები. მადლი გადმოედინება დღისით, დაახლოებით დღის პირველ საათზე. ზუსტი დრო არ არის განსაზღვრული. ზოგჯერ ელოდებიან 10 წუთს, ზოგჯერ 5 წუთს, ხან — 20 წუთს. იყო შემთხვევები, როდესაც ელოდნენ 2 საათის განმავლობაში. შეშინებულებს ტრილიც კი დაუწყიათ — მადლიანი ცეცხლის გადმოსვლით ხომ მთელი წელიწადი იკურთხება.

და აი, იწყება მადლიანი ცეცხლის ჩამორიგება. წარმოიდგინეთ ცეცხლის ზღვა, მაგრამ ხანძარი არასოდეს მომხდარა. იყო შემთხვევები, ცეცხლი წაეკიდა სამოციქულოს, ანდა ერთი მონაზვნის ანაფორაში ნახვრეტი გამოიწვა. სახლში დაბრუნებულ

მონაზონს კი ანაფორა მთელი უნახავს, მას ცეცხლის არანაირი კვალი აღარ ეტყობოდა.

ერთხელაც, მეჩვიდმეტე საუკუნეში ამ უსაზღვრო სიხარულის მისაკუთრება დააპირეს მონოფიზიტმა სომხებმა, მოისყიდეს მუსულმანი არაბი, რომლის მფლობელობაშიც იყო მაცხოვრის საფლავის ტაძარი. შეასწრეს ტაძარში მართლმადიდებელთა პატრიარქს, კარები გადარაზეს და არ შეუშვეს პატრიარქი, რომელიც ღვთის ნებით ყოველთვის პირველი იღებდა ამ ცეცხლს. ატირებულა პატრიარქი, ლოცვით დამხობილა დახშული კარის წინ, მონოფიზიტები კი ლოცულობდნენ და ელოდებოდნენ მადლიან ცეცხლს. მაგრამ სწორედ აქ მოხდა კიდევ უფრო დიდი სასწაული. უცებ მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, ცეცხლმა თავზე გადაუარა სომეხ პატრიარქს, მარმარილოს სვეტი ორად გაიპო და ამ ნაპრალიდან ცეცხლი გარეთ გადმოვიდა და მართლმადიდებელი პატრიარქის კელაპტარი აინთო. მაშინ კი მიხვდნენ, რომ ღმერთს შეეწინააღმდეგნენ და ამის შემდეგ აღარავის უცდია პირველობა ამ საქმეში. ველარავინ ბედავს, შეეცილოს მართლმადიდებლებს მადლიანი ცეცხლის მიღებაში. ამ სასწაულით კიდევ ერთხელ აჩვენა უფალმა თუ სად არის ჭეშმარიტი სარწმუნოება.

გაზ. „საქართველო",
3 მაისი, 2001 წ.

P.S. სამწუხაროდ, წელს მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიალზე საუკუნის ავანტიურამ ისევ იჩინა თავი. მონოფიზიტური ეკლესიის წარმომადგენელნი ყველასათვის მოულოდნელად ისევ დაესხნენ თავს ბერძენ მართლმადიდებელ პატრიარქს და ღვთაებრივი ცეცხლის მიტაცება დაუპირეს. ღვთის შეწევნით, როგორც გაზეთი „მრევლი" (№2(62) 2002 წ.) წერდა, „მონოფიზიტთა მზაკვრული გეგმები მაცხოვრის საფლავთან მდგომმა ჩვენმა თანამემამულემ, საქართველოს კონსულმა ისრაელში, ლაშა ჟვანიამ ჩაშალა".

— ცერემონიალის ყოველი დეტალი, თითოეული დომინაციის წარმომადგენლის ადგილი, ქცევის წესი და მაცხოვრის ტაძარში შესვლის დრო „სტატუს ქვოს" მიხედვით მკაცრად არის განსაზღვრული. წესისამებრ, მართლმადიდებელმა პატრიარქმა პირველმა უნდა დატოვოს საფლავი. მას უკან უნდა მოჰყვებოდეს სომეხი ეპისკოპოსი, ხოლო კოპტს და ასირიელს უფლება არ აქვთ, გამოვიდნენ საფლავიდან, ვიდრე მართლმადიდებელი პატრიარქი არ დაშორდება მას გარკვეული მანძილით.

ამჯერად სომხური ეკლესიის წარმომადგენელმა გადაწყვიტა, მართლმადიდებელ პატრიარქზე ადრე გამოსულიყო საფლავიდან, თუმცა გამოსვლამდეც მან სცადა, პირველს გადაეწოდებინა ცეცხლი სარკმლიდან. სომხური ეკლესიის წარმომადგენლის მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვა უხეშ არაქრისტიანულ მოქმედებასაც.

საბოლოოდ მართლმადიდებელი პატრიარქი პირველი გამოვიდა საფლავიდან, თუმცა მონოფიზიტური დომინაციის წარმომადგენელთა მხრიდან თავდასხმა აქაც განხორციელდა. იგი ძალზე შეავიწროვეს.

საბედნიეროდ, ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიალზე მე მაცხოვრის საფლავის შესასვლელთან ვიდექი. თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, როცა ვითარებაში გავერკვიე, ძალის გამოყენებით გავიკვლიე გზა, იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქს გვერდით ამოვუდექი და ვცდილობდი, მისთვის მოწოლილი მასა ჩამომეშორებინა. ეს ნაწილობრივ მოვახერხე. პატრიარქს შევხედე. მას ხელში სანთლები აღარ ეჭირა. როგორც ჩანს, ვიღაცამ ამოართვა ხელიდან, ანდა ისედაც ამ ხილულ სასწაულთან პირისპირ პირველად შეხების (იგი პატრიარქად გასული წლის 13 აგვისტოს იქნა არჩეული) შედეგად ემოციურად და ფიზიკურად დაუძლურებულს, ნაწილობრივ დამტვრეული სანთლები ხელიდან გაუვარდა.

საუბრის დრო აღარ იყო, ამიტომ მისი უნეტარესობის მარჯვენა ხელში საფლავის კართან მისგანვე ანთებული საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან გამოსაგზავნი სანთლები ჩავუდე და ხელი მაღლა ავაწევინე. ასე მივყევი მართლმადიდებლური ტაძრის საკურთხევლამდე — ასე აღწერს იმ გაუგონარი თავხედობის შემთხვევას ბატონი ლაშა ჟვანია („მადლი" №2, 2002).

ჩვენთვის სასიხარულო და საამაყოა ის ფაქტი, რომ ღვთაებრივი ცეცხლის „გადარჩენა" და „საუკუნოვანი ავაზაკებისგან" წმიდა ადგილის სიწმიდის და ხელშეუხებლობის დაცვა ღმერთმა სწორედ ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანის ხელით ინება.

ჯანმრთელობა

მცენარეული ზეთით მკურნალობის ჩინური მეთოდი

მეთოდის არსი მდგომარეობს მცენარეული ზეთების (უმჯობესია მზესუმზირას ზეთი) არა დალევის, არამედ წოვის აქტში. მთელი მკურნალობის საფუძველი სწორედ წოვის აქტია — დანარჩენს ასრულებს თვით ორგანიზმი. ამ მეთოდით მკურნალობა ახდენს სასწაულებს: სუფთავდება ყველა უჯრედი, ქსოვილი, ორგანო.

დაავადებები, რომლებიც იკურნება ამ მეთოდით: თავის და კბილის ტკივილი, ჰაემორიტი, ფრონტიტი, თრომბოფლებიტი, სისხლის ქრონიკული დაავადებები, დამბლა, რადიკულიტი, ეგზემა, ეპილეფსია, ზოგიერთი სახის სიმსივნე, კუჭის, ნაწლავის, ღვიძლის, გულის დაავადებები, ქალური დაავადებები.

მკურნალობის მეთოდიკა: თავს ვხრით და 1 სუფრის კოვზ მზესუმზირას ზეთს ვიგუბებთ პირის ღრუს წინა ნაწილში. შემდგომ 15-20 წუთის განმავლობაში უნდა ვწოვოთ ეს ზეთი, ისევე როგორც საწოვარა ან კანფეტი.

ზეთის ჩაყლაპვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

წოვის პროცედურა უნდა ხდებოდეს მსუბუქად, თავისუფლად, დაძაბვის გარეშე. დასაწყისში პირის ღრუში მოთავსებული ზეთი ხდება ბლანტი, სქელი, შემდგომ კი თხევადი, როგორც წყალი. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადმოვაფურთხოთ. გადმოფურთხებული სითხე უნდა იყოს რძესავით თეთრი. თუკი სითხე ყვითელია, ეს ნიშნავს, რომ წოვის პროცესი ბოლომდე არაა მიყვანილი. ამ შემთხვევაში უნდა გაიზარდოს წოვის ხანგრძლივობა. გადმოფურთხების შემდეგ პირში გამოვივლოთ წყალი და ეს წყალიც აგრეთვე გადმოვაფურთხოთ.

პროცედურა უნდა ჩატარდეს დღეში ერთჯერ, უმჯობესია დილით, შეიძლება ორჯერაც — დილით უზმოზე და საღამოს ძილის წინ. მკურნალობის დასაჩქარებლად შეიძლება — დღეში რამდენიმეჯერ.

მოსალოდნელი შედეგები: უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მეთოდით მკურნალობის დასაწყისში შესაძლებელია წარმოიშვას გამწვავება, კერძოდ ავადმყოფის გუნება-განწყობილება გაუარესდეს, რაც იმის ნიშანია, რომ ხდება ქრონიკული პროცესის „გამოღვიძება", ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობისაკენ დაბრუნება. ცხადია, რომ გამწვავების დროსაც არ უნდა შევწყვიტოთ მკურნალობა. რადგანაც დაავადება ვითარდება შემდეგი სქემით: ჯანმრთელი მდგომარეობა — მწვავე პროცესი — ქრონიკული პროცესი, გამოჯანმრთელებაც შებრუნებული სქემით უნდა მოხდეს: ქრონიკული პროცესი — მწვავე პროცესი — ჯანმრთელი მდგომარეობა.

„მცენარეული ზეთით მკურნალობის ჩინური მეთოდი" შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ღვიძლის გამწმენდ შესანიშნავ საშუალებად. მზესუმზირას ზეთი იმიტომ წმენდს ღვიძლს, რომ, როცა ჩვენ მას ჩავიგუბებთ პირის ღრუში, ვხრით თავს და ენით ვამოძრავებთ მთელ პირის ღრუში, ამ პროცესის შედეგად ქვედაყბისქვეშა ჯირკვლებში ძლიერდება სისხლის მიმოქცევა. კაპილარებიდან ზეთი მიიზიდავს სისხლში გახსნილ ტოქსინებს, შლამებს, დაავადების გამომწვევ მიკრობებს, მარილებს. ყოველივე ამის შედეგად კი ღვიძლი, ელენთა, ფილტვები და ა.შ. პრაქტიკულად ყველა ორგანო სუფთავდება.

როცა ვამტკიცებთ, რომ ამ პროცედურით ორგანოები იწმინდება, ოდნავადაც არ ვაჭარბებთ. საქმე იმაშია, რომ ადამიანის თითქმის ყველა ორგანოს წარმომადგენლობა, „საელჩო" ენის ზედაპირზეა. სწორედ მათი მეშვეობით ვწმენდთ ამ ორგანოებს.

სასურველია, თუკი მზესუმზირას ზეთით გამწმენდ პროცედურებს ჩავიტარებთ მთელ წელიწადს, ყოველ თვე 10 დღის განმავლობაში, ღვიძლისათვის კი ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია მარტი, აპრილი, მაისი.

შ. საბახტარიშვილი. „სამკურნალო წიგნი". თბილისი, 1997. ტ. I.

ექსპრეს-აუდიტ სერვისი
ლიცენზია №091;
გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში
1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სწირავენ მსხვერპლს თავისუფალი თეატრის მსახიობები?

ზია მაქვს არა ჩემს გამო, არამედ ჩემი ერის, ჩემი მაყურებლის გამო, რომელსაც უკიდურესად უჭირს, ვერ ღებულობს პენსიებს და ხელფასებს. ეს სატკივარი მტკივა. მიუხედავად იმისა, რომ ვარ ამ თეატრის ხელმძღვანელი, მატერიალურად ნამდვილად არ მილხინს.

— რადგან ფინანსები ახსენეთ და ამ მხრივ, არც თქვენ გილხინთ, მაშინ ბუნებრივია, სპონსორის არსებობაც. თუ საიდუმლო არაა, ვინ არის ის?

— საწყის ეტაპზე გვიწევდნენ ფინანსურ მხარდაჭერას. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, საკუთარი შრომით მიწევს არსებობა. არა გვაქვს დამატებითი ინვესტიციები. ვცხოვრობთ ძირითადად საკუთარი ბილეთების შემოსავლით. თუმცა ეს ძალიან მწირია. ჩვენი ყველაზე დიდი შენაძენი მაყურებელია. თითოეული წარმოდგენის დროს დარბაზი სავსეა. თეატრის მიზანიც ეს იყო, რაც წარმატებით განხორციელდა.

— ხელოვნების ნებისმიერ სფეროში საკმაოდ დამკვიდრდა ე. წ. რემიქსები. ამ მხრივ რამდენად თავისუფალია „თავისუფალი თეატრი"? ხომ არ გიცდიათ კლასიკური ნაწარმოების (რომელიც ადრე იდგმებოდა) გარემიქსება?

— არა. მთავარია ცოცხალი აზრი და სიტყვა, რომელიც მივა მაყურებლამდე. სპექტაკლს თანამედროვე სტილში გადაიყვან თუ უცვლელად დატოვებ, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. თეატრში გადამწყვეტია შინაგანი სული, რომელიც არის სპექტაკლში. ამ სამყაროში გაცილებით მეტი ავანგარდი იყო, ვიდრე დღეს მუსიკალურ სამყაროშია. ჩვენ კონკრეტულად არ გვაქვს დაგეგმილი, რომ მაინცდამაინც კლასიკური ნაწარმოები გავარემიქსოთ, თუმცა თეატრი ამ ხერხსაც ხშირად მიმართავს. იგივე „კინომსახიობთა" თეატრში დადგმული „რომეო და ჯულიეტა", თქვენი ენით რომ ვთქვათ, რემიქსია.

— მინდა, დიდი ვაჟას სიტყვები გავიხსენო: „თეატრმა ადამიანს აგრესია კი არა, „ლამაზი სული" უნდა დაანახოს". გადაუჭარბებლად ვიტყოდი, რომ თქვენ ეს საოცრად მოახერხეთ. საერთოდ რა მიზანს ემსახურება ამ დროს „სული", რომელიც ასე მოხდენილად წარმოაჩინეთ?

— ჩვენი თეატრის დევიზი სიმართლის სამსახურია, ამიტომ ჰგავს თითოეული წარმოდგენა მართალი სიტყვის ზეიმს. თუნდაც, სპექტაკლი „პროვოკაცია" არ შეიძლება მაყურებელმა აგრესიად აღიქვას. ეს დღესასწაული ხდება წარმოდგენის დასრულებამდე. მაყურებელი თავის განწყობილებას აღფრთოვანებით გამოხატავს. ის ჩვენთან ერთადაა აღტკინებული. ჩვენთან ერთად განიცდის, სტკივა, უხარია და ა. შ.

— და ბოლოს, ბატონო ავთანდილ, რამდენად ახერხებთ „თავისუფალი თეატრის" გაცნობას უცხოელი მაყურებლისათვის.

— ჩვენი სპექტაკლები ძალიან სპეციფიკურია და გამიზნულია მხოლოდ ქართველი მაყურებლისათვის. ჯერ არა გვაქვს სპექტაკლი, რომელიც იქნებოდა ზოგადსაკაცობრიო და გათვალისწინებული საფესტივალო მაყურებლისთვის. ამას თავისებური განსაზღვრა სჭირდება. ამიტომ ინგლისში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში შეიძლება ტაში დაუკრან „კომედიანტებს", „ჯინსების თაობას", მაგრამ ჩვენი მთავარი სათქმელი, წუხილი ვერც კი გაიგონ. ჯერჯერობით არ უნდა ავჩქარდეთ. იმედია, სულ მცირე ხანში „თავისუფალი თეატრი" გასტროლებსაც გამართავს.

ირმა ჩიტაია

ოთარ რამიშვილმა არჩევნებში ხმა გიტარას მისცა

გულნაზი რამიშვილი

ხანდახან მიპყრობს ჟინი, ოთარის ლექსებით ვისაუბრო...

ოთარ რამიშვილის ოჯახური იდილიის შემხედვარე, ვფიქრობ, ბედმა ნამდვილად გაუღიმა მას, როცა ასეთი მომხიბვლელი და საოცრად კეთილშობილი თანამგზავრი არგუნა.

ქალბატონი გულნაზი მომღერალ მეუღლეზე მესაუბრება და სახეზე შთამბეჭდავი ღიმილი დასთამაშებს, ისეთი, მხოლოდ ფერია ბედნიერებისა თუ მოგანიჭებს... საგულდაგულოდ ვინიშნავ მის მიერ ნათქვამ ყოველ ფრაზას და თანდათან ვრწმუნდები: იყოს ოთარ რამიშვილის მეუღლე, მისთვის ეს ბედნიერებასთან ერთად დიდი მოვალეობაცაა.

„როგორც მომღერალი, მოზღვავებული ნიჭის მქონეა. ამასთანავე, ბავშვით მიამიტი და გულუბრყვილოა. ალბათ, ასეთ ადამიანებზე თქმულა „დიდი ბავშვიაო". საოცრად თავისუფალია. ვერ მოსთხოვ ისეთ რამეს, რაც ჩარჩოში ჩასმულ მეუღლეს მოეთხოვება. ვერ შებოჭავ, ვერ შეავიწროებ და არც უნდა სცადო. პირიქით, თავის ნებაზე უნდა მიუშვა. როგორიც არის, ისეთი უნდა მიიღო. ძალიან საინტერესო „იების რთველში", „ფიქრების ზღვა" და „ბარდი" (აკაკი გაჩეჩილაძის რედაქტორობით). ჩვენი გაზეთის მეშვეობით ბატონი ოთარი დიდ მადლიერებას გამოხატავს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ საყვარელი მომღერლის შემოქმედებას გასცნობოდნენ ოთარ რამიშვილის ნიჭის თაყვანისმცემლები...

— ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა დიდი მადლობა მოვახსენო ჩემი წიგნების გამომცემლებს, რომელთა თანადგომითაც შევძელი სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსებისა და სიმღერათა ტექსტების შეკონწება. უანგაროდ დამიდგნენ გვერდით ნუგზარ ფოფხაძე, ჯაბა იოსელიანი და დავით სალარიძე. ასევე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ელგუჯა ბუბუტეიშვილს, კონიაკის ქარხნის გენერალურ დირექტორს. არაერთხელ მახსოვს მისგან მხარდაჭერა და გვერდით დგომა. მართალია, სხვებივით ბევრი ფული არა აქვს, მაგრამ მორიელი არასოდეს უზის ჯიბეში.

ახლა ვამზადებთ წიგნს „გული უმღერის გულს", მაგრამ სპონსორს ვერ ვპოულობ. ალბათ, ჩემი დასაფლავების თანხით დაბეჭდავენ!..

ბევრი ვილაპარაკე. საუბრის ექსტაზში შესულს სცენაზე მეგონა თავი. გარშემომყოფნი ალტაცებით მიკრავდნენ ტაშს... ხალხს ოთარი ძალიან უყვარს! — ამ განცდით გალაღებულს მთელი ქვეყანა საკუთარი მეგონა"...

მარი ჩიტაია

კრასვორდი



თარაზულად: 5. აგენტ 007-ის „საყვარელი" სიგარეტი; 7 „კილერების და ჯარების დისლოკაციის" თოვლიანი მწვერვალი; 10. „შევარდენის ასაფრენი" კუთხე საქართველოში; 12. პირადობის დამადასტურებელი „სპორტი"; 13. სახელმწიფო ლამის „არაყი"; 14. „მძიმედ შეიარაღებული" ქალაქი ინდოეთში; 15. დასახლება, სადაც წინათ მტკვარზე ფონი იყო; 16. იმპოტენტი დიდყურა; 17. ქეიფი, სადაც „ქორსაც წილი აქვს"; 18. ირმების დასალევი წყალი; 22. საკურორტო სოფელი სამეგრელოში, რომელსაც „მგონი აკლია"; 23. ძროხების საყვარელი ბალახი; 26. „ჭაში" მიმდინარე ღვინის დეგუსტაცია; 27. ქალაქი, რომელიც ირწმუნება, რომ „შავია"; 29. ავთანდილის მაღალ-მდაბალი სიმამრი; 35. ბურღულეული, რომელსაც „მიშელი" ვერ ჭამს; 36. „ბუების" დასალევი „რაბი"; 37. „მახინჯი" დაბა აჭარაში; 38. ზღვაზე მფრინავი „ტროსი"; 39. „ზაირას" საყვარელი სახელმწიფო აფრიკაში.

შვეულად: 1. „აიკიდოში" დახელოვნებული ყურძნის მტევნები; 2. მდინარე რონას „დაქალი" საფრანგეთში; 3. კარიერისტების საოცნებო ჩანთა; 4. გიჟი, რომელსაც მუდამ „მოელი"; 5. ბოსტნეული, რომლის ჭამისას ბადრის „ჯანი" ემატება; 6. ინდოეთის დედაქალაქთან „დამეგობრებული" მ/სადგური; 8. „ბარდეელი", სადაც ლომებს აგირავებენ; 9. „ისანში" გახსნილი იაპონური ფირმა; 11. კურდღლის „ჭია"; 12. „პირიანი" ნახევარკუნძული ევროპაში; 17. ვაჭარი „ქორი"; 18. გაკულტებული „ფოლადი" (რუს. კავშ.); 19. „ავკარგიანი" დროებითი სადგომი; 20. ფილატელისტის „ფული"; 21. ქალაქი, სადაც ხალხი დაუმარხავი მკვდრის სანახავად მიდის; 24. „ანას ტომის" მეცნიერება; 25. სიგრძის საზომი ერთეული, რომელსაც მილიარდამდე მილი აკლია; 28. სპილოს „ტაბელური იარაღი"; 30. „ლუმინალით" პატიმრების მკურნალი ექთანი; 31. „ამაოდ" დამშვრალი ერთუჯრედიანი ცხოველი; 32. ადამიანთა „დაწნეხვის" მიწისქვეშა საამქრო; 33. „პურზე მოსაკიდებელი" მდინარე; 34. რაიონი საქართველოში, სადაც „ფრანგთა წინაპრები" ცხოვრობდნენ.

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ.: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.